# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 იანვარი, 2012 წელი.

№1 (6878)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

მრავალჟამიერ!

# დიდებასა ღმრთისასა ეძიებს



დღეს საქართველოს სულიერი მამის ილია მეორის დაბადების დღეა

იხ. 2 გვ.

# 2012 წელი იქნება პრობლემების დაძლევის, განვითარების, ქვეყნის სწორი მიმართულებით სვლის და გაჩენილი იმედის განხორციელების წელიწადი

## ბიძინა ივანიშვილის საახალწლო მილოცვა



**ძვირფასო თანამემამულენო,**

დადგა ახალი, 2012 წელი, რომელიც თითოეული ჩვენი თანამოქალაქისათვის იქნება პრობლემების დაძლევის, განვითარების, ქვეყნის სწორი მიმართულებით სვლის და გაჩენილი იმედის განხორციელების წელიწადი.

ყველამ ერთად უნდა ჩავაბაროთ წარსულს ხელისუფლების მიერ დანერგილი უიმედობა, ნიჰილიზმი, უპასუხისმგებლობა, შიში, უცოდინარობა...

გვაქვს ნება, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო ერთად ვაქციოთ ღირსეულ სახელმწიფოდ, რომელიც ზრუნავს ადამიანზე, მის თავისუფლებაზე.

მხოლოდ ჩვენი შრომით, კეთილსინდისიერებითა და ურთიერთმხარდაჭერით მივაღწევთ წარმატებას.

ამ რწმენით გილოცავთ ახალ, 2012 წელს! ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა. ვულოცავ მათ, ვინც მთელ მსოფლიოში მიმოფანტულან და სახლში დაბრუნებაზე ოცნებობენ. ვულოცავ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს. ვულოცავ ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში მხარს უჭერდა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს.

2012 წელი იქნება ქართული ოცნების ასრულების წელიწადი.

გილოცავთ!

ბიძინა ივანიშვილი

# წლის მეცნიერული ბესტსელერი

6-7




# ილუზიები – წარსულში, იმედი – მომავალში

4

5

# ნაცემება სისულელეების ზღვა დააყენეს

# დიდებასა ღმრთისასა ექიებს

## დიდი ცხოვრების რამდენიმე შტრიხი

კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრება გარეგნულად დიდებული ჩანს: ოქრომკედით ნაქარგი ბრწყინვალე შესამოსელი, სამეუფო გვირგვინი და მეწამული ფერის გრძელი მანტია, რომლის ბოლოსაც მოწიწებით ეზიდებიან, სადღესასწაულო წირვა-ლოცვები, თვალსაჩინო სტუმრების მიღება, სახელოვან ადამიანებთან ურთიერთობა, ყურადღების ცენტრში ყოფნა... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა; პირველი და არსებითია ასკეტური მხარე მისი ცხოვრებისა: ნებაყოფლობით უარის თქმა ამქვეყნიურ ბედნიერებაზე, მუდმივი ლოცვა და მღვიძარება, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა წინაშე ღმრთისა მისთვის მინდობილი მრავალრიცხოვანი სამწყსოს გამო, ზრუნვა თითოეული ცხოვარის გადარჩენისათვის...

ვინც პატრიარქის ცხოვრების ამ მხარეს დაუკვირდება და გაიაზრებს, აუცილებლად თანალმობით განიმსჭვალება, მაგრამ რამდენს აქვს სურვილი ამაზე დაფიქრებისა? სამწუხაროდ, უმეტესობას პატივი, რომლითაც კათოლიკოს-პატრიარქია მოცული, შედეგი ჰგონია მისი მდგომარეობისა და არა საკუთარ თავთან მოგებული დიდი ბრძოლისა — ანუ სულის მეუფებისა ხორცზე.

საქართველოს მომავალ კათოლიკოს-პატრიარქზე ღმრთის განსაკუთრებული წყალობის პირველი ნიშანი ქრისტიანულ ოჯახში დაბადება და აღზრდა იყო. გიორგი შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის ტრადიციულ ოჯახში ყოველი დღე ლოცვით იწყებოდა და ლოცვითვე მთავრდებოდა, რომლის დროსაც მისი ყველა წევრი ერთად იკრიბებოდა. ხშირად, ძილის წინ, 50-ე და 90-ე ფსალმუნებს მშობლები ბავშვებს აკითხებდნენ, რის შემდეგაც მამა მათ ნაკურთხ წყალს ასხურებდა და დასაძინებლად უშვებდა. იმდროინდელ საქართველოში ასეთ ოჯახებს იშვიათად თუ შეხვდებოდით.

აქვე შევნიშნავთ, რომ შიოლაშვილები განშტოებას წარმოადგენენ ღუდუშაურების უძველესი ქართული გვარისა, რომლის წარმოშობაც, თავის მხრივ, დიდი მეფის, წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. გადმოცემის მიხედვით, როცა ვახტანგი თავისი დის ტყვეობიდან გასათავისუფლებლად კავკასიონის ქედის გადაღმა ოსების დასალაშქრად მიდიოდა, ხევში სნოს ოჯახში გაჩერდა და მისი ვაჟი ღუდუშა მონათლა. თუ მეფის ნათლულმა ღუდუშამ ღუდუშაურთა ცნობილ საგვარეულოს დაუდო სათავე, მთაში განთქმული ვაჟკაცის, შიოლა ღუდუშაურისაგან შიოლაშვილების გვარი წარმოიშვა. შიოლა ღუდუშაურის ციხე „მცირე, არამედ ფრიად მაგარი“ (ვახუშტი ბაგრატიონიძ, რომელიც XVI საუკუნის მიწურულში უნდა აეგოთ, სნოს ხეობაში კლდოვან ბორცვზე დღესაც დგას და მდინარე სნოსწყალს გადმოჰყურებს.

წინაპართა საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილსა და მათ მტკიცე დამცველს, გიორგი შიოლაშვილს მისი გონიერების, სამართლიანობისა და კეთილშობილების გამო ხალხი თავის წინამძღვრად თვლიდა და მის რჩევებსა და გადაწყვეტილებებს დიდი პატივით ეკიდებოდა. ღმრთის წყალობით, მეუღლეც შესაფერისი ჰყავდა, ნატალია კობაიძეს უფლისაგან უხვად ჰქონდა მიმადლებული ნიჭი სიყვარულისა და გულმოწყალებითა და სტუმართმოყვარეობით მეუღლეს ტოლს არ უდებდა. ცოლქმარი საქართველოს გმირულ წარსულს აიდეალებდა და შვილებს თავდადებული მამულიშვილების სიყვარულით და პატივისცემით ზრდიდა. განსაკუთრებით დიდ პატივს პატარა კახს — მეფე ერეკლეს მიაგებდნენ. ამ პატივის გამოსახატავად მათ მომავალ კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც 1933 წლის 4 იანვარს შეეძინათ, ირაკლი დაარქვეს.

**1942 წლის სექტემბერში მშობლებმა ირაკლი ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგაც მან სწავლის გაგრძელება ზაგორსკის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში გადაწყვიტა. ოჯახიდან გამოყოლილი სულიერი საგზალი მტკიცე საფუძველი გამოდგა სემინარიასა და აკადემიაში სწავლის პერიოდში ქრისტიანული მოძღვრების სიღრმეთა წვდომისათვის, რაც პიროვნებისაგან დიდ სულიერსა და გონებრივ მომზადებას მოითხოვს.**

მისი უწმიდესობა მადლიერებით იხსენებს ზაგორსკის სემინარიისა და აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს, რომელნიც სტუდენტებს არა მხოლოდ ცოდნას აძლევდნენ, არამედ გულისხმიერი დამოკიდებულებით ქრისტიანული ზნეობის შთამბეჭდავ მაგალითებსაც აძლევდნენ და მათში რწმენის განმტკიცებას ამ გზითაც ხელს უწყობდნენ.

ზაგორსკის აკადემიის კურსდამთავრებული მღვდელმონაზონი ილია შიოლაშვილი საქართველოში დაბრუნდა და უწმიდესსა და უნეტარესს, კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ II სთხოვა ღმრთისმსახურად იქ გაეგზავნათ, სადაც ამის საჭიროებას თავად მისი უწმიდესობა ხედავდა. ეფრემ II ილია შიოლაშვილი ბათუმის საკათედრო ტაძარში განამწესა.

სასულიერო განათლებითა და თავდადებული მსახურებით გამორჩეული ახალგაზრდა მოძღვარი სწრაფად დაწინაურდა...

1977 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის დავით V გარდაცვალების შემდეგ, როცა კვლავ დადგა საკითხი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევისა, ქართული ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი გამოარჩია. ამჯერად, საქართველოს ხელისუფლებამ მხარი კრების არჩევანს დაუჭირა და საზეიმო აღსაყდრების დღეც დაინიშნა.

**ოცდაათი წლის წინათ, 1977 წლის 25 დეკემბერს, მიუხედავად ზამთრის ცივი დღისა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი საზეიმო წირვაზე დასწრების მსურველებს ვერ იტევდა, რადგანაც ბევრს ესმოდა, რომ ერის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი ხდებოდა — ახალი კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება, მით უმეტეს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია შიოლაშვილის სახელი, როგორც ფართო განათლებისა და ეროვნული სულისკვეთების მქონე მღვდელმთავრისა, უკვე ცნობილი იყო.**

დიდია ძალა მაგალითისა. მისმა უწმიდესობამ თავისი პიროვნული თვისებებით ქრისტიანობის შინაგანი სიდიადე და სილამაზე წარმოაჩინა, და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რელიგიის საკითხებში თითქმის სრულიად გაუცნობიერებელი საზოგადოება ეკლესიაში უწინარესად სწორედ ამით მიიზიდა.

რა არის ზღვარდაუდებელი დროისათვის ოცდაათი წელი? მაგრამ თუ ჩვენ თუნდაც უბრალოდ გადავავლებთ თვალს იმ საქმეებს, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით ამ ოცდაათი წლის მანძილზე აღსრულდა, დრო, რომელსაც პირობითად ვზომავთ, ჭეშმარიტად განიზომება და ჩვენი ერის ისტორიისათვის ამ წლების განუზომელ მნიშვნელობას დაგვიდასტურებს.



1988 წელს, 8 საუკუნის შემდეგ, საქართველოში პირველად ამოქმედდა სასულიერო აკადემია თბილისში, რომელსაც გელათის სახელოვანი აკადემიის საუკეთესო ტრადიციები უნდა გაეგრძელებინა, ანუ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს რომ დავესესხოთ, მეცნიერებით მეორე ათენი უნდა ყოფილიყო, ხოლო სულიერებით — ახალი იერუსალიმი. თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიას, გარდა განსწავლული მოძღვრების მომზადებისა, უწინარესად, ღმრთისმეტყველების ყველაზე აქტუალურ საკითხებზე მუშაობაც ევალებოდა, რათა ის უდიდესი სულიერი საუნჯე, რომელიც წინაპრებმა ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ქარტეხილებს გამოატარეს და შეურყვნელად შემოგვინახეს — ჭეშმარიტი რწმენა — მართლმადიდებლობა, სხვადასხვა რელიგიის იდეოლოგთა ფარული თუ აშკარა მტრობისაგან დაეცვა.

1990 წლის მარტში საქართველოს ეკლესიის დელეგაცია უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მეთაურობით კონსტანტინეპოლს ეწვია, სადაც მას საზეიმო ვითარებაში გადაეცა ორი სიგელი: ერთი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, ხოლო მეორე მისი მეთაურისათვის კათოლიკოს-პატრიარქის წოდების ცნობისა.

რაც არ უნდა დიდი საქმე გაკეთდეს, მისი აღნიშვნა სულ რამდენიმე სიტყვითაც შეიძლება, მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში ეს სიტყვებია: საქართველოს ეკლესიამ დაკარგული ავტოკეფალია დაიბრუნა და არა მხოლოდ დაიბრუნა, არამედ განიმტკიცა კიდეც, რადგან მსოფლიო საპატრიარქოსაგან გადმოცემული სიგელების წყალობით, მისი კანონიერების დაცვა მომავალ თაობებს აღარ დასჭირდებათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს რამდენიმე სიტყვა სრულიადაც ვერ წარმოაჩენს იმ ხანგრძლივსა და რთულ გზას, რომელიც ქართული ეკლესიის მესვეურებმა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მეთაურობით დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განვლეს. მის დანახვას სულიერი თვალი და მადლიერი გული სჭირდება, ხოლო ამგვარი ხედვა და მადლიერება რომ გქონდეს, მშობლიური ეკლესია და მამული ჭეშმარიტად უნდა გიყვარდეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ყოვლადწმიდა სამების კათედრალი თბილისში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საუკუნის მშენებლობა უწოდა. ზრუნვა მისი აშენებისათვის, რომელიც მაცხოვრის შობის ორიათასი წლისთავისადმი ქართველი ხალხის მიერ მიძღვნილი შესაწირავი უნდა ყოფილიყო, უწმიდესმა და უნეტარესმა ჯერ კიდევ 1988 წელს დაიწყო.

მისი უწმიდესობა, რომელიც ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერის თაყვანისმცემელია და მუდამ იმის ცდაშია, რომ კაცის ხელით შექმნილმა ღმრთის მიერ შექმნილი სამყაროს დიდებულ სანახაობაში დისონანსი კი არ შეიტანოს, არამედ, პირიქით, ღირსეულად შეავსოს იგი, ტაძრის ეზო-შემოგარენის გალამაზებაზე ისევე ზრუნავს, როგორც მისი ფასადისა და ინტერიერის გამშვენებისათვის. ყოველი ბუნებრივად ლამაზი ქვა თუ ლოდი, რომელიც სამების ეზოში დევს, ყოველი ხე, ბუჩქი თუ ეგზოტიკური ყვავილი, მის მიერაა შერჩეული და მის მიერვე მითითებულ ადგილას დადებული და დარგული.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით მაინც არ აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის უძველეს საკათედრო ტაძრის გამშვენებას დასდო.

ცნობილია, რაოდენ დიდი როლი ენიჭება ქრისტიანის ცხოვრებაში ღმრთის სადიდებელ საგალობლებს. ეს საგალობლები სულს ღმრთისადმი მადლიერების გრძნობით ავსებენ და მისი სიყვარულით აზრწყინებენ. უწმიდესისა და უნეტარესის კურთხევით სიონის საკათედრო ტაძართან გალობის შემსწავლელი სკოლა მოქმედებს, რომლის დანიშნულებაა გალობის მადლს აზიაროს ჩვენი ბავშვები.

რადგან გალობას შევეხეთ, არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ის დიდი დამსახურება, რომელიც მის უწმიდესობას ღმრთისმსახურების დროს შესასრულებელი ქართული საგალობლების აღდგენა-განახლებაში მიუძღვის.

მისმა უწმიდესობამ იზრუნა, აგრეთვე, ქართული საეკლესიო მხატვრობის საუკეთესო ტრადიციების აღდგენა-განვითარებისათვის. მისი ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემიასთან ჩამოყალიბდა ხატმწერთა სკოლა, რომლის რამდენიმე წარმომადგენელმა უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია და კარგი სახელიც მოიპოვა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელია ფერწერული ხელოვნებისა, თვითონაც კარგად ხატავს.

კათოლიკოს-პატრიარქის სახელს უკავშირდება, აგრეთვე, საპატრიარქოში ხუროთმოძღვრული ცენტრის დაარსება, რომელსაც ევალება კონტროლი გაუწიოს საეკლესიო კანონიკის დაცვას როგორც ფერწერაში, ასევე არქიტექტურაშიც. აღსანიშნავია, რომ მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით ამ ცენტრში სამების საკათედრო ტაძრისათვის მომზადდა საუკეთესო კალიგრაფთა მიერ ეტრატზე გადაწერილი ტრაპეზის სახარება, რომელიც მინიატიურებით არის შემკობილი.

ამ წლების მანძილზე ღმრთის წყალობით და მისი უწმიდესობის ღვაწლით მრავალი სიწმინდე დაუბრუნდა ქართულ ეკლესიას. მათ შორის, წმიდანთა ნაწილები და დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა. ხარების დღესასწაულის საზეიმო წირვა-ლოცვაზე საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი დიდი სიწმინდე დაუბრუნდა. სამების საკათედრო ტაძარში მოაბრძანეს ხის ჯვარი, რომელიც მირიან მეფემ თხოთის მთაზე, სადაც „ნინოს ღმერთმა“ ხორციელთან ერთად სულიერი თვალიც სასწაულებრივად აუხილა, აღმართა. როგორც ჩანს, ათეისტური იდეოლოგიის მძვინვარების პერიოდშიც არსებობდნენ ქართველები, რომელთაც კარგად ესმოდათ ქრისტიანულ სიწმიდეთა ძალა და მნიშვნელობა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მათ დასაცავად; ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იმ წლებში მათი დაცვა თავგანწირვის ტოლფასი იყო. ჯვარი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელოვნების ისტორიის მუზეუმის ფონდში ინახებოდა, ამიერიდან სამების საკათედრო ტაძარში დაიდებს ბინას.

დაბოლოს, ქართული ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 15-დან 37-მდე გაიზარდა, რომელთაგან თითქმის ყველას საკუთარი მღვდელმთავარი ჰყავს. ათეული წლების განმავლობაში დადუმებულმა და გაუქმებულმა მრავალმა ტაძარმა სიცოცხლე დაიბრუნა, მრავალიც ახალი აშენდა, ხოლო მღვდელმსახურთა რიცხვი შეუდარებლად გაიზარდა.

მადლობა ღმერთს, ამ ბოლო წლების გამოცდილებამ ჩვენი ხალხის დიდი ნაწილი მიახვედრა, რომ ჭეშმარიტ თავისუფლებას მას ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ მოუპოვებს, იგი მან ეკლესიური ცხოვრებით — საკუთარ ცოდვათა აღიარებით და მათგან თავის დახსნის გზით თვითონვე უნდა მოიპოვოს. მისმა უწმიდესობამ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეგვახსენა, რომ თავისუფლება უწინარესად ჭეშმარიტების, ანუ ღმრთის შეცნობასა და მის სამსახურს გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით, მან ჯერ კიდევ 1992 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოველში წარმოთქმული სიტყვისას ბრძანა: „თუ ქართველობა სულიერად არ ამაღლდა და ფერი არ იცვალა, გამოცხადებული დამოუკიდებლობა ცარიელ სიტყვადღა დარჩება. ჭეშმარიტ თავისუფლებას ის მოიპოვებს, ვინც თავისი თავის უფალი გახდება, ანუ საკუთარი ვნებების დამორჩილებით თავს დააღწევს ცოდვის ტყვეობას. ამიტომ ერის თავისუფლების პროცესი ყოველი ადამიანის განთავისუფლებით უნდა დაიწყოს. დღეს კი თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ კაცს ყველაფრის უფლება აქვს და ყველაფერი შეუძლია: ძარცვა, ძალადობა, მკვლელობა... ეს ეშმაკის ტყვეობას ნიშნავს, თავისუფალი ისაა, ვინც ამ ბოროტ ძალას თავს დააღწევს და თავის გულსა და ვნებებს დაეპატრონება...“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიძლიერის წყარო სწორედ სარწმუნოების სიმტკიცე და მისგან მომდინარე სულიერი სიმშვიდეა, რომელსაც იგი სიყვარულთან ერთად სამწყსოს შინაური თუ გარეშე მტრებისაგან დასაცავად ბრძოლაში იყენებს.

მისი უწმიდესობა ამ მხრივაც ცოცხალი მაგალითია სამწყსოსათვის. მიუხედავად იმ გაუწყვეტელი მღელვარებისა, შფოთისა და ურთიერთდაპირისპირებისა, რომელთაც ჩვენი ხალხი განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მოიცვეს, კათოლიკოს-პატრიარქს არა მხოლოდ თვითონ არ დაუკარგავს არც ერთხელ სიმშვიდე, არამედ მათთვისაც, ვისაც კი მის მოსასმენად გონიერება ჰყოფნის, სიმშვიდის წყარო ბრძანდება.

მადლიერება უწმიდესისა და უნეტარესის მიმართ, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჩვენს ხალხში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებისათვის, ქართულმა სახელმწიფომ მისი აღსაყდრებიდან 25 წლისთავზეც გამოხატა და მის უწმიდესობას წმინდა მეფის, დიდი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭა.

**როგორც ერის ჭეშმარიტმა მწყემსმა, უწმიდესმა და უნეტარესმა საქართველოს ყველა კუთხეში არაერთგზის იმოგზაურა და იქაური სიწმინდენი მოილოცა. მისი უწმიდესობის სტუმრობა ჩვენს ხალხს ამხნევებდა, რადგან რწმუნდებოდა, რომ ჰყავს მწყემსი, რომლის გულიც ყოველი მათგანის სიყვარულს იტევს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კათოლიკოს-პატრიარქის სტუმრობა საინგილოსა და სპარსეთში, ფერეიდნელ ქართველებთან.**

უსაზღვროა წყალობა ღმრთისა, რომელმაც ქართველ ხალხს მწყემსმთავრად უწმიდესი და უნეტარესი მაშინ მოუვლინა, როცა გული ქართული ეკლესიისა ძლივსღა ფეთქავდა და გაჩერებას აღარაფერი უკლდა. თავდადებული მოღვაწეობის შედეგად, მისმა უწმიდესობამ მისი არა მხოლოდ გამოცოცხლება, არამედ აღორძინებაცა და განმტკიცებაც მოასწრო და ამდენად, მომზადებული შეახვედრა იმ მოვლენებს, რომელიც საქართველოში უახლოეს მომავალში უნდა განვითარებულიყო: ვგულისხმობთ სხვადასხვა სექტანტური მიმდინარეობის მცდელობას ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებისა და სამწყსოს მიტაცებისათვის.

საბედნიეროდ, ჩვენმა ხალხმაც იგრძნო, რომ მას სასყიდლით დადგინებული მწყემსი კი არ ჰყავს, რომელიც მგლის დანახვაზე სამწყსოს ტოვებს და გარბის, რადგან მისი ბედი არ ენაღვლება, არამედ მწყემსი კეთილი, რომელიც თითოეული ცხოვარის გადარჩენაზე ზრუნვას თავის მოვალეობად თვლის და თუ საჭირო იქნება, სულსაც დასდებს მათთვის (ინ. 10, 13-15ძ.

მისმა უწმიდესობამ მძიმე ჯვარი ერისა, რომელიც უფალმა უბოძა, უდრტვინველად იტვირთა და თავისი თავის უარყოფითა და ტკივილთმოყვარებით მიუძღვის სამწყსოს ჭეშმარიტებისკენ მიმავალ ვიწროსა და რთულ გზაზე. ამიტომაც მიიჩნევს მას ქართველი ერი სულიერ მფარველად და შუამდგომელად წინაშე შემოქმედისა და ღრმად სჯერა, რომ მძიმე განსაცდელის დაძლევაში უწმიდესისა და უნეტარესის ღმრთისა და მამულის სიყვარულით გამთბარი ლოცვა შეეწევა და გადაარჩენს.

გვანცა კოპლატაძე

## ჭადრაკის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ...

სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ყველა დასაშვები ცდომილების გათვალისწინებით, ივანიშვილს უკვე აქვს მეორე შედეგი სააკაშვილის შემდეგ, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია სულ რაღაც ორთვიანი პოლიტიკური აქტივობის პირობაზე. ამ ეტაპზე ივანიშვილის შედარებით მოწყვლადი ადგილია აშშ და ევროპის წრეების მხარდაჭერის ხარისხი. ჭადრაკის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ორი მთავარი მოთამაშე ივანიშვილი და სააკაშვილი ერთგვარ ცუგცვანგის მდგომარეობაში არიან, როდესაც მოთამაშის ნებისმიერმა არასწორმა სვლამ შეიძლება მისი პოზიციები გაართულოს.

გავლენიანი ბრიტანული ჟურნალის The Economist ყოველწლიურმა დემოკრატიის ინდექსის კვლევამ 2011 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ფასადური დემოკრატიაა. „ვარდების რევოლუციიდან“ 8 წლის მანძილზე საქართველო „ჰიბრიდული რეჟიმის“ სტატუსს ვერ გასცდა და დემოკრატიის განვითარების კუთხით გამოკვლეულ 167 ქვეყანას შორის 102 ადგილზეა. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც მსგავს შეფასებას გვაძლევენ. Freedom House საქართველოს კვლავაც „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნად მოიხსენიებს. თუმცა ის, რაც კარგად მოსჩანს ოკეანის-გაღმიდან თუ ნისლიანი ალბიონიდან, როგორც ჩანს, დაბინდულია ცნობილი ჟურნალისტის მატვეი განაპოლსკისთვის. სახელისუფლებო ტელეარხზე ПИК („Первый Информационный Кавказский“ძ მისი საავტორო გადაცემის ქუდი ამბობს, რომ გადაცემა მაყურებელს გააცნობს, თუ „როგორ მიდის საქართველოს გარდაქმნა, რომელმაც არა სიტყვით, არამედ საქმით გადაწყვიტა მისი ბევრი მეზობლისთვის გახდეს მისაბაძი მაგალითი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების საკითხებში.“ მატვეი განაპოლსკის საქართველოში ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს და უნდა ვიფიქროთ, რომ ის მთლად ინფორმაციულ ვაკუუმში ან დეზინფორმაციის ტყვეობაში არ იმყოფება, როდესაც ПИК-ს აუდიტორიას საქართველოში სიტუაციას ვარდისფერ ფერებში წარმოუჩენს.

ან კი რითია მისაბაძი საქართველოს რეფორმები?!, რომ ქვეყანა პატიმრების რაოდენობით მსოფლიოს პირველ ხუთეულში შედის, რომ რეფორმების შედეგად მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევრად დარჩა და დასაქმების სფეროში ასაკობრივი სეგრეგაციაა დაწესებული, რომ პოლიცია და უშიშროება სახელმწიფოში სახელმწიფოდ გადაიქცა, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად უზურპირებული აქვს ერთ პოლიტიკურ ძალას. თუ ვინმესთვის მისაბაძი იქნებოდა საქართველოს ხელისუფლების რეფორმების მაგალითი, მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი ფაქტურის დემოკრატიის ფასადით შენიღბვას.

საინტერესოა როგორ შეფასებას მისცემს განაპოლსკი ჩვენი პარლამენტის მიერ ბოლო დღეებში მიღებულ საარჩევნო კოდექსს და იმ დრაკონულ ცვლილებებს, რაც პოლიტიკური გაერთიანებების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონმდებლობაში შევიდა. ამ ცვლილებების შემდეგ ხომ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ 2012 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები ვერ იქნება თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული.

თუმცა ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ამ კუთხით უკვე ჩამოყალიბებული აქვს სტრატეგიაც და ტაქტიკაც. სააკაშვილი და მისი გუნდი როგორც შიდა აუდიტორიის, ისე დასავლეთის წინაშე აქტიურად და, როგორც ჩანს, არცთუ უშედეგოდ მანიპულირებს „რუსული საფრთხით“. ეს კამპანია განსაკუთრებით გააქტიურდა და უკვე გროტესკული ფორმები შეიძინა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოაბიჯა. გზავნილი, რომელიც სააკაშვილის გუნდიდან მოდის, არის მოკლე და მკაფიო – ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა დასავლეთს დააკარგვინებს საქართველოს, ხოლო ამ უკანასკნელს კი დამოუკიდებლობას.




სხვათა შორის, ამაზე ირიბად, მაგრამ საკმაოდ გასაგებად მიანიშნა თავის ამასწინანდელ ტელეინტერვიუში უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ. შესაბამისად, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე სასწრაფო წესით მიღებული შესწორებები სწორედ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური აქტივობის შეზღუდვის მიზანს ემსახურება.

„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ჩანს, ბოლო დრომდე იმედოვნებდა, რომ „რუსული საფრთხის“ კოზირით ის გაანეიტრალებდა დემოკრატიული ნორმების დარღვევას. თუმცა 29 დეკემბერს მიღებულ ანტიდემოკრატიულ კანონებთან დაკავშირებით აშშ-ს საელჩოს სპეციალურმა განცხადებამ დატოვა მცირე იმედი იმისა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი სააკაშვილის ხელისუფლებას აფრთხილებს და აგრძნობინებს, რომ ასეთ გარემოში ჩატარებულ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება შესაძლოა აღარ აღიარონ ლეგიტიმურად. ამას გვაფიქრებინებს განცხადებაში გაკეთებული ღია მინიშნება „უთანასწორო პოლიტიკურ კონკურენციაზე“. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდებია და, შესაძლოა, არჩევნებამდე აშშ-მა გადახედოს საკუთარ პოზიციას, თუკი სააკაშვილის გუნდი ამერიკულ პოლიტელიტას კვლავ აცდუნებს ისეთი პოლიტიკური და სტრატეგიული საჩუქრებით, როგორიც არის ავღანეთში საქართველოს სამხედრო კონტინგენტის გაზრდა, საქართველოს ტერიტორიის დათმობა ამერიკული სამხედრო ინფრასტრუქტურისათვის ირანთან ომის შემთხვევაში, რუსეთში მიმდინარე მოვლენებში უფრო აქტიური ჩარევა დესტაბილიზაციის გასაღრმავებლად და ნებისმიერი სხვა ქმედებებით, რაც რეგიონში აშშ-ს და ნატოს ინტერესებს უპასუხებს.

„ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან ოსტატურად მანიპულირებს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით. ის მათ ფაქტიობრივად ფარად იყენებს, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ამ რეკომენდაციების შინაარსზე არც ხელი მიუწვდება ენობრივი თუ ტექნიკური ბარიერების გამო და არც მათი გაცნობის მწველი ინტერესი აქვს. ამიტომაც პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადება, რომ „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები „მკაცრ, თუმცა ევროპული პოლიტიკის სტანდარტებს ამკვიდრებს და ექსპერტიზა ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიაში გაიარა“. შესაძლოა საზოგადოების გაუთვიცნობიერებელმა ნაწილმა სიმართლედაც კი აღიქვას. საქართველოს შესახებ ვენეციის კომისიის მიერ არც ერთ დღემდე გამოქვეყნებულ დოკუმენტში არ წერია, რომ იქ ამ საკანონმდებლო შესწორებებს იწონებენ. შესაბამისად, ივანიშვილის კოალიციას მოუწევს აჩვენოს საზოგადოებას, მართლა შეესაბამება თუ არა პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ევროპულ სტანდარტებს.

ამ პროცესში სავარაუდოდ არ ჩაერთვებიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ „შეკიდულ“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ძირითადად საუბარია ქრისტიან-დემოკრატებზე, ახალ მემარჯვენეებზე და ეროვნულ-დემოკრატებზე. „ნაციონალური მოძრაობისთვის“ კაბალურ საარჩევნო შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ, მათ პარლამენტში მანდატების მიღების საქმე უკვე მოკვარახჭინებული ეგონათ. თუმცა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ის გზა, რომლითაც ეს პარტიები პარლამენტში მოხვედრას ლამობდნენ. „ნაციონალებმა“ გადაიფიქრეს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 190-მდე გაზრდა. დღეს აღნიშნული პარტიები ხელისუფლებასთან უნისონში ივანიშვილის კრიტიკით არიან დაკავებული და ივანიშვილის საპირწონე ოპოზიციურ ძალად სთავაზობენ საკუთარ თავს ხელისუფლებას. თუმცა სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ამ პარტიების რეიტინგი იმდენად დაბალია, რომ ძნელი წარმოსადგენია მათ არჩევნების აშკარა გაყალბების გარეშე რაიმე ხელშესახები შედეგი აჩვენონ ხელისუფლების მხარდაჭერის პირობებშიც კი. თუმცა 2012 არჩევნებზე ივანიშვილის კოალიციისათვის წართმეულ თითოეულ ხმას „ნაცმოძრაობისათვის“ რომ იტყვიან ოქროს ფასი ექნება. ამიტომაც. ამ პარტიების სამსახურზე ხელისუფლება უარს არ იტყვის, რადგან ეს ოპოზიციური ელექტორატის გახლეჩვის ერთ-ერთი საშუალებაა.

ხელისუფლება ხვდება, რომ მოძრაობა „ქართული ოცნების“ წიაღში სხვადასხვა თემატური ჯგუფების შექმნით და ქვეყანაში არსებული პრობლემების კონკრეტული პროგრამების მომზადებით, ივანიშვილმა და მისმა გუნდმა ფაქტობრივად ალტერნატიული მთავრობის ჩამოყალიბება დაიწყეს, რომელიც ამომრჩევლის წინაშე არა მჭახე ლოზუნგებით, არამედ ალტერნატიული პროგრამებით წარსდგება. ეს კი საპროტესტო ელექტორატის კონსოლიდაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ბერკეტია. თუ მისი ბოლო განცხადებებით ვიმსჯელებთ, ივანიშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა არ ჩაიკეტოს რესპუბლიკელებთან და თავისუფალ დემოკრატებთან და არჩევანი უფრო ფართო კოალიციაზე გააკეთოს, რაც ოპოზიციური ხმების გაფანტვის ალბათობას შეამცირებს. გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, საზოგადოებას ეკუთვნის. თუმცა სოციოლოგიურ კვლევებს თუ ვენდობით, საზოგადოების საგანგაშოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით 3%ძ არის მზად არჩევნების გაყალბების შემთხვევაში აქტიურად დაიცვას საკუთარი ხმები საპროტესტო აქციების გზით.

სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ყველა დასაშვები ცდომილების გათვალისწინებით, ივანიშვილს უკვე აქვს მეორე შედეგი სააკაშვილის შემდეგ, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია სულ რაღაც ორთვიანი პოლიტიკური აქტივობის პირობაზე.

ამ ეტაპზე ივანიშვილის შედარებით მოწყვლადი ადგილია აშშ და ევროპის წრეების მხარდაჭერის ხარისხი. საერთაშორისო პრესის მიერ მისი პოლიტიკური პროფილის შეფასება ჯერჯერობით არ მეტყველებს იმაზე, რომ ივანიშვილს დასავლეთი „თავის კაცად“ მიიჩნევს.

ჭადრაკის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ორი მთავარი მოთამაშე ივანიშვილი და სააკაშვილი ერთგვარ ცუგცვანგის მდგომარეობაში არიან, როდესაც მოთამაშის ნებისმიერმა არასწორმა სვლამ შეიძლება მისი პოზიციები გაართულოს.

**ზაალ ანჯაფარიძე**
ჯი-ეიჩ-ენი

## წკეპლიკა

# ოხ, ეს დასავლელი მეგობრები!..

უმაღლესი სახელისუფლებო საშინაო პოლიტიკის წყალობითა და ეგებ უმაღლეს ხელისუფალთა უშუალო დაკვეთითაც, პარლამენტში ახალი სახის დეპუტატები გამოჩნდნენ – ბიძინაფობები. ისინი ყოველნაირად და ალბათ, მრავალთათვის აღმაშფოთებლად ცდილობენ კანონმდებლური დასაბუთება თუ გამართლება მოუნახონ სამთავრობო ორგანოების ასევე აღმაშფოთებელ, დაუფარავ, ძალადობრივ ქმედებებსა თუ აქტებს დიდი ქველმოქმედისა და პატრიოტის ბიძინა ივანიშვილისა და იმასთან დაკავშირებული სტრუქტურების წინააღმდეგ.

ასეთი ქმედება სულ რაღაც ორი-სამი თვის სიგრძეზე სრულიად ღიად, ურცხვად, დემოკრატიის ნორმების უხეში დარღვევით არაერთი განხორციელდა და ფართო ქართველი საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ უთუოდ ასევე კარგად ცნობილია საერთაშორისო წრეებისთვისაც. პირადად ჩემთვის სწორედ უცხოელთაგან განგაშის ზარის შემოუკვრელობა, პროტესტის გამოუთქმელობა, დაუგმობლობაა გასაკვირი ბიძინა ივანიშვილისა და იმისი გარემოცვის აშკარა, გამომწვევ, გაუგონარ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. სრულიად პირიქითაც კი – იმის ნაცვლად, რომ საქართველოს პრეზიდენტსა და მთელს მმართველ პარტიას პოლიტიკურ მეტოქესთან კორექტული ურთიერთობისაკენ, პატიოსანი ბრძოლისაკენ, დემოკრატიული ნორმების დაცვით დაპირისპირებისკენ მოუწოდონ, ამდენი ჩადენილი ძალადობრივ-დისკრიმინაციული აქტის გამო გაკიცხონ (რომელთა ნუსხასაც ნამდვილად მშვენივრად იცნობენძ – კვლავ და კვლავ ხოტბას ასხამენ, რეფორმებს უწონებენ, დემოკრატიულ პროგრესს, ეკონომიკურ წინსვლას „უფიქსირებენ“ და ყველაფერ ამას აკეთებენ, ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილის ფენომენის თვალწინ და „ყურწინ“ ქონისას...

ყველა-ყველა და თბილისში საფრანგეთის საელჩო მაინც რატომ სდუმდა (თუ „ინფანტილური“ შეკითხვა არ გამომდისძ, რატომ იბრმავებდა თვალს და იყრუებდა ყურს, როცა საფრანგეთის მოქალაქეს ბიძინა ივანიშვილს (მოქალაქეობის შეწყვეტაზე განაცხადის შეტანამდეძ ასე უსინდისოდ ექცეოდნენ, რატომ არ აპროტესტებდა ამ საქციელს და რატომ არ ესარჩლებოდა თავისიანს?..

...ამასობაში კი გროვდება და გროვდება ცივილიზებული დასავლეთისაგან, „მეგობარი “ ევროპელებისა და ამერიკელებისგან ბედკრული საქართველოსათვის დათვური სამსახურის გაწევის, შემობოლების, ჟარგონული სიტყვის მოხმობის ნებას თუ მომცემთ, ჩვენი გაშაყირების მაგალითები; როდემდე?. ბოლომდე...

**ბერდია ბედოიძე**

## ინფორმაცია

### მამუკა ღლონტი – „მაესტროს“ სატელიტური სიგნალი გამორთულია

ეროსი კიწმარიშვილი „მაესტროს“ სატელიტიური სიგნალით მაუწყებლობას ვერ შეძლებს, – ამის შესახებ „მაესტროს“ დამფუძნებელმა მამუკა ღლონტმა განაცხადა. მისივე განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ თურქულმა სატელიტიურმა კომპანია „თურქსატმა“, რომელიც ტელეკომპანიის სიგნალს საქართველოსა და ევროპაში ავრცელებს, „მაესტროს“ სატელიტური სიგნალი გამორთო.

– ჩვენ „თურქსატს“ ეროსი კიწმარიშვილისთვის „მაესტროს“ სატელიტური სიგნალის გამორთვის წინადადებით ცოტა ხნის წინათ მივმართეთ და კომპანიისგან დადებითი პასუხი მივიღეთ. ტელეკომპანიის სატელიტური სიგნალი გამორთულია და კიწმარიშვილი „მაესტროს“ ეთერში გასვლას ვერ შეძლებს. ასე რომ, თანამშრომლების ის კასტინგი, რომელიც კიწმარიშვილმა გამოაცხადა, მორიგი ზღაპარი აღმოჩნდა, – განმარტა ღლონტმა.

ინტერპრესი

ფიქრები საახალწლოდ

# ილუზიები — წარსულში, იმედი — მომავალში

**მე რომ კაცმა მკითხოს, გასული წლის ყველაზე დიდი უბედურება რა იყოო, ვუპასუხებ: ილუზია, ილუზიებით და ილუზიებში ცხოვრება.**

**ილუზიებით ცხოვრობდა და ცხოვრობს ხელისუფლება — თითქოს ქვეყანას ღირებული სიკეთე მოუტანა;**

ოპოზიციის დიდი ნაწილი ილუზიებით ცხოვრობდა და ცხოვრობს: რომ ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა შეიძლება, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარება არსებული საარჩევნო კანონით შეიძლება.

ილუზიებით ცხოვრობს ხალხი, რომელიც მადლიერია ხელისუფლებისა ილუზორული ქვეყნის მშენებლობისათვის, რომელიც თანაუგრძნობს იმ განწყობას, რომ არსებული საარჩევნო კანონმდებლობით შეიძლება სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

ილუზიებში და ილუზიებით ცხოვრების დამთავრება შეუძლია ხალხს, და მხოლოდ ხალხს. საქართველოს მომავალი არის რეალურ პოლიტიკაში. ფიქრი, რომ ეს ხელისუფლება თავად შეცვლის სიტუაციას, არის დიდი შეცდომა და მტრობა ქვეყნისა. ყველა ქართველმა პოლიტიკოსმა, საქართველოს ყველა მეგობარმა, უნდა ირწმუნოს, რომ დემოკრატიული არჩევნები და ქვეყნის დემოკრატიული განვითარება შეუძლებელია მოქმედი საარჩევნო კანონით.

ქართველმა ხალხმა და საქართველოს მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რომ ხელისუფლება, რომლებმაც პოლიტიკური და ელიტური კორუფცია აიყვანა ზენიტში, შექმნა რა ზეცენტრალიზებული კორუფციული სისტემა, გვესაუბრება გზების მშენებლობის სიკეთეზე და პატიოსან პატრულზე, რითაც ქმნის ილუზორულ წარმოდგენას ქვეყანაზე; რომ ის ყოველგვარ უკანონობაზე წავა, რათა შეინარჩუნოს ძალაუფლება.

პირდაპირ ვთქვათ, ხელისუფლება ქვეყნისთვის ცუდად, თავისთვის სწორად იქცევა, როცა უარს ამბობს დემოკრატიულ საარჩევნო კანონზე და არჩევნების დემოკრატიულ ჩატარებაზე, ვინაიდან კარგად იცის, რომ ამ შემთხვევაში მას ელოდება არა უბრალოდ პოლიტიკური არენიდან წასვლა, არამედ თავისუფლების აღკვეთა იმ პოლიტიკური და ეკონომიკური დანაშაულისათვის, რომელსაც ჩადის სისტემატურად, ღიად, ურცხვად... ელიტური კორუფციის, 7 ნოემბრის, 8 აგვისტოს, 26 მაისის ავტორმა ხელისუფლებამ იცის, რაც ელოდება.

ჯერჯერობით ოპოზიციის მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ გაყალბების პატიება არ შეიძლება. დიდი ნაწილი თვლის, რომ მაშინაც კი, თუ არჩევნები გაყალბდება, ხელს ჩამოართმევს გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას და პარლამენტის თბილ სავარძელში მოკალათებული ოპონირებას გაუწევს სახელისუფლო გუნდს. ოპოზიცია, რომელიც გაყალბებას პატიობს ხელისუფლებას, სიმშვიდეს ანიჭებს და შვებას ჰგვრის მას, რაც ბოროტების ტოლფასია. პოლიტიკოსი, რომელიც თავს ოპოზიციონერად თვლის და ილუზიებით ცხოვრობს, აძლიერებს ხელისუფლებას.

— ჩვენ, „თეთრები“, იმ ხალხთან და იმ პოლიტიკოსებთან ერთად ვართ, რომლებიც თვლიან:

— რომ ხელისუფლებასთან გარიგება არ შეიძლება;

— რომ არსებული კანონით დემოკრატიული არჩევნები ვერ ჩატარდება;

რომ არჩევნების გაყალბების პატიება არ შეიძლება.

— ჩვენ, „თეთრები“, იმ ხალხთან და პოლიტიკოსებთან ერთად ვართ, რომლებიც თვლიან:

— რომ ვიდრე საარჩევნო პულტთან დგას ეს ხელისუფლება, სამართლიანი არჩევნები შეუძლებელია;

— რომ ამ ხელისუფლებას ძალაუფლების შესანარჩუნებლად რჩება ერთადერთი ინსტრუმენტი - გაყალბება;

რომ ის, რასაც მავანმა რევოლუციის მოხდენის მცდელობა უწოდა, გახლდათ სრულიად სამართლიანი პროცესი: არჩევნების არჩევნებამდე მოგება. ამ პროცესს ახლო მომავალში თუ არ მიეცა უწყვეტი და შეუქცევადი ხასიათი, სამართლიან არჩევნებზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ჩვენ იმ ხალხთან და იმ პოლიტიკოსებთან ვართ, რომლებიც თვლიან, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე დღეს საქართველოში განახლებული ეროვნული მოძრაობის დროა.

ჩვენ, „თეთრები“, უდიდეს იმედს ვამყარებთ საზოგადოების მხარდაჭერაზე, რომელიც დაიცავს საკუთარ პატივს, ღირსებას, პოლიტიკურ უფლებებს. იმედი გვაქვს, საქართველოს მეგობრების, რომლებიც რეალურად და არადეკლარირებულად მხარს დაუჭერენ საქართველოს ხალხს და არა ამჟამინდელ დანაშაულებრივ მმართველ კლანს.

ჩვენ, „თეთრებს“, გვწამს, რომ ახალი წლის შემობრძანება საქართველოში არის წარსულისათვის თვალის გადავლების, შეფასების, განვლილი წლისათვის მადლობის თქმის და ახლის დალოცვის, დაგეგმვის, ოცნებათა შესრულების იმედის პერიოდი.

იმედი — რეალობაა, მხოლოდ მომავალში მოსახდენი.

რეალური იმედი, განმტკიცებული ზუსტი გაანგარიშებით — შესასრულებელი საქმის ნახევარია.

რეალური იმედის განხორციელება — დასახული ამოცანის სრულად შესრულებაა.

**საქართველოს ხალხი: ილუზიებიდან — რეალური იმედისაკენ! — აი „თეთრების“ წინასაახალწლო სურვილი!**

ჩვენ ღრმად გვწამს და ყველას ვთავაზობთ თემებს დაფიქრებისა და დისკუსიისათვის, რომლებსაც კვლავ დავუბრუნდებით:

ილუზია ანგრევს, ოცნება აშენებს; ილუზია წარსულში ჩარჩენაა, ოცნება მომავალია მოქმედებაში; ილუზია კლავს პოლიტიკურ პროცესს, ოცნება აჩქარებს გარდაუვალ პროცესებს; ილუზია სოციალური დემაგოგიის საყრდენია, ის შიშს აძლიერებს, თავისუფლებას ებრძვის; ილუზიის დამკვიდრება ხელისუფლებისათვის არის ხალხზე გაბატონების, ხალხის ჩაგვრის და სკამის შენარჩუნების გახანგრძლივების მექანიზმი; ტრაგედია იქნება ილუზიის და ოცნების ერთმანეთში აღრევა და არევა, რისი ნიშნებიც რელიეფურად იკვეთება.

**ოცნება და იმედი — ეს არის გზა თავისუფლებისაკენ, ნიჭის ზეობისაკენ, ქვეყნის სიძლიერისაკენ; ოცნება ჩვენ აგვაშენებინებს სახელმწიფოს, სადაც: ქვეყანას მართავს ხელისუფლება — ხელისუფლებას მართავს საზოგადოება — საზოგადოებას წარმართავს ინტელექტი და ზნეობა.**

**ეს იქნება ნიჭის ძალაუფლების ქვეყანა — ანუ საქართველო გაბრწყინდება.**

**თემურ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა“ (თეთრები)
2011 წლის 31 დეკემბერი

ვითომ პოლიტიკოსები

# შეეშვით ხალხის დაბოლებას, კმარა!

**უკანასკნელ პერიოდში, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ეგრეთ წოდებულმა პოლიტიკოსებმა და მათმა ვითომ პარტიებმა, ზომაზე მეტად გააქტიურეს პიარქაციები, რითაც მოსახლეობას თვალებში ნაცარს აყრიან.**

**აღნიშნულის დასტურად, საკმარისია განვიხილოთ მხოლოდ ერთი პრობლემა, რომელსაც ყბადაღებული „ფიქსირებული გადასახადი“ ჰქვია. ხმამაღლა ვაცხადებ, თქვენ ეს საკითხი არ იცით, რაღაც-რაღაცეებზე ყური მოგიკრავთ და მეწარმეებზე მზრუნველი პიროვნებების მანტიამოსხმულები ხავსს ეკიდებით, რაც თუთაშხიასი არ იყოს, „არაა თქვენი საქმე“.**

**ხმამაღლა ნათქვამია? მაშინ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, მაქვს თუ არა ერთ რიგით ეკონომისტს, თქვენი საქმიანობის ამ ნაწილზე, ასეთი შეფასების გამოთქმის უფლება და შემდეგ შემოგთავაზებთ კონკრეტულ წინადადებას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს უკვე დიდი ხნის წინათ დამწიფებული პრობლემა და არა თქვენ რომ იბრალებთ, თითქოს თქვენს მიერ აღმოჩენილი „ნოუ-ჰაუ“ იყოს.**

**20 წელზე მეტია, სხვა ეკონომიკური პრობლემების პარალელურად, ჩემი, როგორც ეკონომისტის საქმიანობა, სწორედ საგადასახადო სისტემის სრულყოფას და, კერძოდ, ფიქსირებულ გადასახადს დავუკავშირე. ამ თემაზე ჩემს მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული სტატიიდან, ერთ-ერთის სათაური ასე ჟღერს: „ფიქსირებული გადასახადები — ტოტალური საგადასახადო კორუფციის შემცირებისა და მეწარმეების გადარჩენის ერთადერთი შანსი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წლის 1 აგვისტოძ; როგორც საქართველოს მთავრობის მაშინდელმა მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, ხოლო უფრო ადრე ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიკური სამმართველოს უფროსმა, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1992-1993 წლებში მთავრობას ამ პრობლემასთან დაკავშირებით მივაღებინე ორი სპეციალური დადგენილება: ჩემი პოზიციების დასაცავად, არაერთი ხელჩართული ბრძოლა გადავიტანე როგორც საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების, ისე მთავრობის სხდომებზე; არც ღია ეთერში, სატელევიზიო დებატებზე, რადიო გადაცემებზე და ხელისუფლების მიერ დაქირავებულ ჟურნალისტებთან პოლემიკაზე მითქვამს უარი და ა. შ. და ა. შ.**

**გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის განსაკუთრებით ე. წ. პოლიტიკოსებს ვთავაზობ, მოაწყვეთ შეხვედრა სათანადო სპეციალისტებთან „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით და იქ დასახეთ ამ პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზები.**

**შემოთავაზებული შეხვედრის მოწყობის ორგანიზატორთა სურვილის შემთხვევაში, მზად ვარ მონაწილეობა მივიღო მის მუშაობაში.**

**ანზორ ბაბუხადია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ქართული გაზეთებიდან

## „ხვალ რომ დაითხოვოს „რესპუბლიკელები“ და ალასანიას ჯგუფი, წარმოიდგინეთ, მან თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი, ამას ვეღარ მოასწრებს“



— აცხადებს პოლიტიკურ დევნილობაში მყოფი ვალერი დევდარიანი, — „კარზე არჩევნებია, მოკლედ, ცაიტნოტური მდგომარეობაა... ძალიან ტკეპნიან ერთ ადგილს, წელავენ პროცესებს, თითქოს დრო მათ სასარგებლოდ მიდიოდეს... ხალხი მზად იყო ივანიშვილის ერთ დაძახებაზე გამოსულიყო და ეს მუხტი თავად ივანიშვილმა ჩააქრო.

## „ყოფილი გენერალური პროკურორი „ქრონიკასთან“ დუმილს არღვევს!

გრძელდება ინტერვიუ ზვიად გამსახურდიას ეროვნული და, ჯერჯერობით, ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების გენერალური პროკურორთან ვაჟა აბაკელიასთან, რომელიც ბევრ საინტერესო ფაქტსა და ცნობას აწვდის მკითხველს.

**„ქრონიკა“.**

## „ახალ პარლამენტში მემარჯვენეებს ადგილები დაჯავშნული არა გვაქვს“

აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ წევრი ფიქრია ჩიხრაძე, იგი საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით მიღწეულ შეთანხმებას კომპრომისულს უწოდებს და აცხადებს, რომ ვერ მიიღებს იმ პოლიტიკოსების კრიტიკას, რომლებიც სააკაშვილის მეხოტბენი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ და ამ ბოლო წლებში გადაბარგდნენ ოპოზიციაში.

## ოპოზიცია ხელისუფლებას ამიერიდან ამერიკის საელჩოში უჩივლებს

მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ მიღებული კანონის გარშემო დავიდარაბა გრძელდება. ამერიკის ელჩის განცხადების შემდეგ ნაციონალებმა აშკარად უკან დაიხიეს. ამასთან, იმის მტკიცებაში არიან, რომ აშშ-ის საელჩომდე ოპოზიციამ მიიტანა ცრუ ინფორმაცია.

**„ახალი თაობა“.**

ინფორმაცია

## პატრიარქის ნათლული კიდევ 515 ჩვილი გახდება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქველმოქმედო ფონდ „ლაზარედან“ აცნობეს, საყოველთაო ნათლობისთვის პატარების რეგისტრაცია ფონდში 25-27 დეკემბერს მიმდინარეობდა. 21-ე ნათლობის დრო და ადგილი ჯერ დაზუსტებული არ არის.**



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უკვე 10 300-ზე მეტი ბავშვის ნათლიაა. პატრიარქის ნათლულები ჯვარდაწერილი ოჯახების მე-3 და შემდეგი შვილები არიან.**

**ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა. კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივის მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.**

## „საკანონმდებლო მაცნეს“ ნორმატიულ აქტში რედაქციული ცვლილებების შეტანის უფლება მიეცა

**„საკანონმდებლო მაცნეს“ ნორმატიულ აქტში რედაქციული ცვლილებების შეტანის უფლება მიეცა. შესაბამისი ცვლილება ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში შევიდა.**

**ცვლილებით და დამატებით, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე უფლებამოსილი გახდა განახორციელოს ნორმატიულ აქტში რედაქციული სახის შეცდომის გასწორება, რაც გულისხმობს ტექსტში ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომის ან შეცდომების გასწორებას, რითაც არ შეიცვლება ნორმატიული აქტის შინაარსი.**

**ეს ცვლილება 29 დეკემბერს შევიდა ძალაში. ნორმატიული აქტის სახეა კანონიც, რომელშიც აქამდე ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანასაც პარლამენტის თანხმობა სჭირდებოდა.**

ინტერპრესი

◎ თავდაყირა



# ნაცებმა სისულელეების ზღვა დააყენეს

## სააკაშვილი იმდენს იზამს, ივანიშვილს არჩევნებს ფულის დაუხარჯავად მოაგებინებს

**ეს აზრი, რომ მილიარდერმა ივანიშვილმა, შესაძლოა, ტარაბუცა სააკაშვილს არჩევნები სულაც კაპიკდაუხარჯავად მოუგოს, ბოლო პერიოდში ქართულ საზოგადოებაში ყინვისწინა ხურმასავით მომწიფდა. ამას სათავე, რა თქმა უნდა, იმ სისულელეებმა დაუდეს, რომლებიც ჭკუადამჯდარმა ნაცებმა ჩვენს ირგვლივ ზღვასავით დააყენეს. თავის დროზე თბილისის შემოგარენში ზღვა კომუნისტებმაც დაგვიტოვეს, მაგრამ იქ მათ ამათსავით სისულელეები კი არა, ივრის ცივი წყალი მიუშვეს და ირგვლივ ყველაფერი გაანედლეს. ცივი წყლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ჩვენმა ყოვლისმცოდნე ნაცებმა სისულელეებს კი უმატეს და უმატეს (განსაკუთრებით პოლიტიკურ სარბიელზე ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ) და იქამდე უწიეს, გურულების თქმისა არ იყოს, ვიდრე სულ მთლად არ გააბდლდნენ.**

ვიცი, მკითხველს ამათი სისულელეების საწყაოდან თავადაც უამრავი მაგალითი აქვს დაგროვილი, მაგრამ იმათგან ერთ ყველაზე უფრო ნიშანდობლივ სიაბდლეს მაინც შევახსენებ. სიაბდლეს კი არა, უფრო თავზეხელაღებულ ყაჩაღობას, რომელიც საქართველოს მთელ მსოფლიოში თავმომწონე დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ჩაიდინა პოლიტიკური ოპონენტის მიმართ, როცა შებინდებულზე თავს დაესხა ბანკ „ქართუ ჯგუფის“ საინკასაციო ავტომანქანას და იარაღის გამოყენებით ბანდიტურად წაგლიჯა ხელიდან მისი კუთვნილი 2 მილიონი დოლარი და 1 მილიონზე მეტი ევრო, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინათ „საქართველოს ბანკიდან“ გამოიტანა. მიზეზი? თურმე ეს ფული, რომელიც ხელისუფლებამ დააყაჩაღა, იყო „შავი“, რომელიც „ქართუს“ გასათეთრებლად მიჰქონდა(!ძ.

მას შემდეგ თვეები გავიდა, მაგრამ დამყაჩაღებელმა, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ, დღემდე ვერ ახსნა (დასაბუთებაზე რომ აღარაფერი ვთქვათძ, როგორ მოხდა, რომ „საქართველოს ბანკიდან“ გამოტანამდე ზემოთ ხსენებული აშშ დოლარები იყო „ხვლიკისფერი“, ხოლო გამოტანიდან რაღაც 5 წუთში, ბანკ „ქართუს“ საინკასაციო მანქანაში, ისინი უმალ გადაიქცა „შავად“ და ასევე „გაშავდა“ მოყვითალო-მოვარდისფერო ევროც. ბუნებრივია, ასევე აუხსნელი და დაუსაბუთებელი დარჩა ბანკ „ქართუსა“ და მისი მეპატრონის „დანაშაული“, რომელსაც ვერც ადგილობრივმა და ვერც უცხოელმა დეტექტივებმა დღემდე ვერანაირი სამართლებრივი გასაღები ვერ მოარგეს(!ძ.

მაგრამ როდისმე ყოფილა, ქართველ ნაცმოელებთან სამართალს გასავალი ჰქონია, რომ ახლა უიმისობით რაიმე უხერხულობა ეგრძნოთ? რა თქმა უნდა, ამის გამო თავი არც ამჯერად უგრძვნიათ დამნაშავედ, მაგრამ ერთმა გარემოებამ კი დააფიქრათ — ეს სამი მილიონის დამკარგავი რას დააკლებს ივანიშვილს, რომელსაც ჯიბეში კიდევ მილიარდები დარჩა? საჭიროა, აუცილებელიც კია ისეთი ეფექტური ხერხის მოგონება, რომელიც ბიზნესმენის მილიარდებს ერთი ხელის მოსმით გააუფასურებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ამას მოგონებაც არ სჭირდება, ადრეც უამრავჯერ გამოუყენებიათ ეს „პასაჟი“ და ახლაც საჭიროებისამებრ ამოატივტივეს:

**— სად იშოვა ბიზნესმენმა ივანიშვილმა, უფრო სწორად, ოლიგარქმა ივანიშვილმა მილიარდები? რა თქმა უნდა, რუსეთში. და ლოგიკური გაგრძელება — რადგან რუსეთში იშოვა, ესე იგი, ფული რუსულია, და რადგან რუსულია, ესე იგი, მყრალია. ის ოკუპანტი ქვეყნის ფულია და არც ერთი ღირსეული ქართველი, თუ მას სამშობლო რამედ უღირს, ახლოსაც არ უნდა გაეკაროს.**

თუმცა რუსული ფულის სიმყრალის ვარიანტი ხელისუფლებას ათასჯერ აქვს გადამღერებული და ადვილი შესაძლებელია, ხალხმა მის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეიტანოს. ამიტომ უკეთესი, გაცილებით სარწმუნო იქნება, ეს ჭეშმარიტება თავად ჭეშმარიტად პატიოსანმა და ავტორიტეტულმა პიროვნებამ, აი თუნდაც ისეთმა, როგორიც ხალხის საყვარელი დეპუტატი გია თორთლაძე (იგივე პადოშაძ გახლავთ, გამოვიდეს პარლამენტის ტრიბუნაზე და ხალხის გასაგონად საჯაროდ განაცხადოს. ასეთ განცხადებას პატიოსნებასთან ერთად, რა თქმა უნდა, გაბედულებაც სჭირდება, მაგრამ თორთლაძე სწორედ ის პიროვნებაა, რომელსაც თავის დროზე კლდეზე ცოცვა, ახლა კი პოლიტიკაში ფორთხვა არ ეშლება. ამიტომაც გააჟღერა ასე საჯაროდ და ღიად:

**— ხალხო, არავითარ შემთხვევაში არ მოკიდოთ ხელი ივანიშვილის მიერ ნაშოვნ რუსულ ფულს. ის ფაქტობრივად რუსული „გაზპრომის“ ფულია და მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მის კვლავ რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას.**

ვერ გეტყვით, ამერიკელთა სმენამდე უწია თუ არა ქართველი პადოშას ნათქვამმა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ რუსული „გაზპრომის“ აქციების იქაური მფლობელები დღემდე გუნებიერად ხარჯავენ ეგრეთ წოდებულ რუსულ ფულს და მისი უსიამოვნო სუნიც რატომღაც ნესტოებს არ ულიზიანებთ. აქვე ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე პერიოდი, როცა საქართველოს გულფაქიზი ხელისუფალნი გემოსა და სუნის გაუსინჯავად შეექცეოდნენ იმავე ივანიშვილის ნაშოვნ რუსულ ფულს და პირღებინებასა და თავბრუსხვევას არასდროს უჩიოდნენ.

ისე, ვიდრე ქართველი ნაცმოელები რუსული ფულისა და პუტინის ქართველ მოკავშირეთა ლანძღვა-გინებით იყვნენ დაკავებულნი, ივანიშვილის პარტნიორმა კომპანიებმა შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს და მილიარდელი ბიზნესმენის კოალიციაში შემავალ პარტიებს — „თავისუფალ დემოკრატებს“, „კონსერვატორებს“, „ხალხის პარტიასა“ და „რესპუბლიკელებს“ — საკმაო რაოდენობით (თითოეულს 1 მილიონ 100 ათასი ლარის ოდენობითძ ფული გადაურიცხეს. ამ ფაქტის გახმაურებამ პარლამენტში დიდი ალიაქოთი გამოიწვია. ჟრიამული ქვეყნის მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას წერილს მოჰყვა, რომელმაც საზოგადოებას დასახელებული პარტიების დაფინანსების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ეს რომ გაიგო, გია თორთლაძემ გულში მჯიღი იკრა, — ხომ გეუბნებოდით, ეს პარტიები ბიძინა ივანიშვილს კარგა ხანია ნაყიდი ჰყავსო.

ასეა თუ ისე, უკვე მომხდარს რაღაცას უშველიდნენ და პარლამენტის მამამთავარ-ლიდერებმა კუბლაშვილ-გაბაშვილ, წიკლაურ-მინაშვილებმა ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი, ოპოზიციური პარტიებისთვის მიცემული ფული უკან როგორ წაერთმიათ. საამისოდ შესაფერისი პერსონაც გამოძებნეს — კობა ხაბაზი, ჭკუადამჯდარი, გამჭრიახი გონების პატრონი, რომელსაც არასდროს არაფერი ეშლება და რაღა ამჯერად შეეშლებოდა. და ისიც ჩვეული რიხით წარსდგა პარლამენტის წინაშე მსოფლიოში ჯერარგაგონილი სულელური ინიციატივით: **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში, რომელშიც ახლა ცვლილებები შეგვაქვს, ჩავწეროთ, რომ ახალ რეგულაციებს „უკუძალა“ აქვს და ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჩვენა გვსურსო.** ნაცებმა იმდენი ჭკუა გამოიჩინეს, რომ ხაბაზის მიერ ნაკარნახევი ანტიკონსტიტუციური ნორმა კანონში არ შეიტანეს, მაგრამ ერთგვარი უკუძალის მარეგულირებელი ნორმა მაინც დაუმატეს (თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ამისიც შეეშინდათ და შემდეგ კანონიდან ის უჩუმრად, ქურდულად, თავადვე ამოიღესძ.

მაგრამ კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ოპოზიციური სპექტრის ფინანსურ მდგომარეობას მაინც მნიშვნელოვნად ამძიმებს და პარტიებს ფაქტობრივად არაკონკურენტუნარიან გარემოში აყენებს. ხელისუფლებას არ სურს ხელიდან გააგდოს გაბატონებული მდგომარეობა და საარჩევნო პერიოდში ხარჯოს 100-ჯერ უფრო მეტი თანხები, ვიდრე დანარჩენმა პოლიტიკურმა სპექტრმა. ახალ კანონში ჩაიწერა, **ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც გადარიცხული თანხები არ დაუხარჯავთ, ვალდებული არიან კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს სამი დღისა, აღნიშნული თანხები უკანვე დაუბრუნონ თანხის მიმცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა მოექცევა სახელმწიფო საკუთრებაში.**

თუმცა ჩვენებური ნაცების მრავალნაცადი პრაქტიკული ჭკუა და ცხოვრებისეული ალღო ამჯერად დენს მიბმული ნაგვის გადასახადივით უადგილო აღმოჩნდა. ივანიშვილის კოალიციის სუბიექტმა ოპოზიციონერმა პარტიებმა გადარიცხული თანხებიც დროულად აითვისეს და კანონის ნორმებშიც ზუსტად ჩაეტივნენ. ერთადერთი, რაშიც ჩვენი ჩალიჩა ხელისუფალნი შეიძლება ბიძინა ივანიშვილს შეედავონ, ის არის, რომ ჩვენი უაღრესად ფრთხილი და წინდახედული ოპონენტი კანონის ნორმებს არ არღვევს. ამასთან, ხელისუფლება იმდენად შეშინებული და დაბნეულია, რომ როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ადვილი შესაძლებელია, მან ივანიშვილს არჩევნები ფულის დაუხარჯავადაც (ამის წინაპირობა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავად შექმნა, როცა ბიზნესმენს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვაძ მოაგებინოს.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ყოველდღიურობა

# საახალწლო სურვილები ტელეეკრანს

**სხვა დროსაც გვითქვამს — მოდა თუ მოდურობა განსაცვიფრებელი ფენომენია (ტოტებდაფხრეწილი ჯინსით სიარულის მაგალითი რად ღირს!), მცდარ მეტყველებაშიც იკაფავს ხოლმე გზას და უცერემონიოდ მკვიდრდება.**

ასე დაემართა სიტყვას **„ტელევიზიები“** და ახლა ჩვენი თვალითვალ საგოგმანები ცისფერი ეკრანიდან წამდაუწუმ გვესმის „სახელისუფლებო ტელევიზიები“, „პრეზიდენტის ჯიბის ტელევიზიები“, „დამოუკიდებელი ტელევიზიები“... არავინ არ უფიქრდება აი, რას: ტელევიზია შინაარსობრივად იმდენად ფართო ცნებაა, რომ მრავლობითი რიცხვს იოლად ვერ ჰგუობს და არც უნდა იკარებდეს; არავინო, ჰაიჰარად როდი ვამბობ: „ტელევიზიებს“ შეურიგდნენ და ხმარობენ მაღალინტელექტუალური პირნიც; სულ მივიწყებული და უგულებელყოფილი აღმოჩნდა „ტელეარხები“ თუ „ტელეკომპანიები. ეგებ ღირდეს ამაზე დაფიქრება.

ერთ-ერთი სამთავრობო ტელეარხის — საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ გადაცემას, მგონი პოპულარულს, **„ცხოვრება მშვენიერია“** ჰქვია. ამჟამინდელ საქართველოში რომ ცხოვრებაა, იმის სიმშვენიერეზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, ცინიკურად გაისმის, რამდენიც არ უნდა გვარწმუნოს ქვეყნის უმაღლესმა პირმა მოსახლეობასთან „დღეს და ყოველდღე“ გაუთავებელი შეხვედრებისას... „დაისიდან“ ცანგალასადმი მიმართული რეპლიკა წამომაგონდება ხოლმე — დაგიმშვენდა ისე ცხვირიო (თუმცა გადაცემის წამყვანს მშვენიერი ცხვირი აქვს...ძ; რუსული „жизнь“ სიცოცხლესაც ნიშნავს და ცხოვრებასაც, ქართულად კი ისინი განსხვავებული ცნებები არიან და იმ გადაცემას „სიცოცხლე მშვენიერია“ უფრო მოუხდება. სიცოცხლე მართლაც ყოველთვის მშვენიერია, თუნდაც ისეთ ყოფაში ჩავარდნილ ქვეყანაში, როგორც საქართველოა...

**„ახალი ამბები კეთდება აქ“.** შეამჩნევდით, ამგვარი შესავლით რომ იწყება „გამარჯვებული ხალხის ტელეარხზე“, — „რუსთავი-2“-ზე, საინფორმაციო გადაცემა „კურიერი“. ნეტავ ვის მოუვიდა თავში ამგვარი ორმაგად, ფორმითაც და შინაარსითაც, უხეირო „პროლოგი“ და ეს როგორ ვერ შენიშნა ვერავინ იქაური უამრავი თვალიდან? მით უფრო, რომ როგორც საახალწლო დღეებში სარეკლამო რგოლიდან ირწმუნებიან, იქ ამდენი ნიჭიერი ადამიანი ყოფილა... ჯერ ერთი, „ამბის კეთება“ რა ქართულია — ამბავს კი არ აკეთებენ, არამედ ისმენენ, ჰყვებიან, გადასცემენ, მიაქვთ, მოაქვთ, იწერებიან... მეორეც, არც აზრობრივადაა სწორი, ამბები რედაქციაში, სტუდიაში კი არ „კეთდება“ — იქ შედის, გროვდება, თავს იყრის და იქიდან ვრცელდება ეთერში; ჰოდა, თუ ეს ენიშნებათ, კეთილ ინებონ და გაასწორონ წინასაკურიერო ანონსი...

**დაზარალება, დაზიანება, დაშავება.** ეს სამი სიტყვა ფუნქციურად მონათესავეა, მაგრამ ტელეეკრანზე, არცთუ იშვიათად, შეუფერებლად მოიხმობენ ხოლმე. საავადმყოფოში დაზარალებული კი არ გადაიყვანეს, არამედ დაშავებული; დაზარალებულს კი არ გაუკეთდა ოპერაცია, არამედ დაშავებულს; მიწისძვრამ შენობები დააზიანა და არა დააზარალა; „სამაგიეროდ“, გვალვამ რეგიონი დააზარალა და დააზიანა. საერთოდ, დაშავებას ნუ ვაქცევთ მივიწყებულ სიტყვად, თუმცა ყველას ჯვარი ეწეროს...

იხ. 9 გვ.

◎ ინფორმაცია

## იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა აუქციონზე გაიყიდება

**თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა აუქციონზე გაიყიდება. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი, 500 000 ლარად იყიდება. აუქციონის პირობების მიხედვით, შენობის ახალი მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს საპრივატიზაციო ობიექტში განთავსებული მოსარგებლეების უსასყიდლო სარგებლობის უფლება 2012 წლის 1-ელ თებერვლამდე.**

**ელექტრონული აუქციონი 18 იანვარს, 17:00 საათზე გაიმართება.**

ინტერპრესი



**ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეამ“ მოაწყო მკვლევარისა და მეცნიერის, სამართალმცოდნეობის დოქტორის, ყველასათვის ცნობილი პოლიპატიმრის, პოლიტიკური გაერთიანება „მთლიანი საქართველოს“ დამაარსებლის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნი – ტრილოგიის: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“, – კურთხევა-პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები და საზოგადო მოვაწენი: ვაჟა ეგრისელი, ერეკლე საღლიანი, რომული ჯაფარიძე, სერგო წურწუმია, გივი ხაზალია, სოკრატ სალუქვაძე, სიმონ ზაქარაია, გურამ ფირცხალავა, დიმა ჯაიანი, ზაურ გოგოლაძე, ილია ლომია, ტარიელ მუმლაძე, კახა ბასილია, ჯემალ ჯიქია, ნათელა მოხალაშვილი, შალვა სიჭინავა, ანა ქველაძე, ლარისა ხაჭაპურიძე, ქეთევან კობაიძე, სოფო ცინცაძე, ფიქრია ლიკაშვილი, გოდერძი ჩაგელიშვილი, ნათელა ფოფხაძე, ჯუმბერ გულორდავა, ვანო მეგრელი, ალეკო თოდუა, რომანოზ ზარანდია და სხვ.**

**ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ საგანგებო რეპორტაჟს ვ. ვახანიას წიგნის პრეზენტაციიდან.**

## წიგნი – ბენიფიციუმი*

აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნი-ტრილოგია: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“, – წარმოადგენს უიშვიათეს ნაშრომს, სადაც ერთადაა თავმოყრილი, როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური და თეოლოგიური საკითხები, ასევე ბიბლიური და ლიტერატურული ჯერაც უცნობი წყაროები, უძველესი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და მათი ახსნა-განმარტებები... ყველაფერი ეს პრეისტორიული კოლხეთის (საქართველოს) ფონზეა განხილული, მაგრამ... აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია, მათ იციან, რომ იქ იწყება საქართველოს ისტორია. ზოგ-ზოგმა ვაი-მეცნიერმა უძველესი კოლხეთი ლამის ზღაპრად მონათლა, აიეტის ხსენებაც არ სურთ! „შუშანიკის წამების“ აქეთ დასცეს კარავი, ამით კოლხეთს კი არა, მთელ საქართველოს ჰპარავენ ისტორიას, კულტურას, წარსულ ათასწლეულებს... ხოლო უწარსულოები და უთვისტომოები ყოველნაირად ცდილობენ, დააკნინონ, დაამცრონ და დააჩიაონ კოლხეთის უსამანო ისტორია... იცის ეს ყველაფერი მკვლევარმა და მეცნიერმა, სამართალმცოდნემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ ვახანიამ და ამიტომაც იშიშვლა სიმართლის ხმალი. ათასწლეულთა ღია სარკმლიდან მზესავით ხედავს მტერიც, მოყვარეც, რომ ისტორია სხვებმა კი არა, „ძმებმა“ მოჰპარეს კოლხებს და... დღესაც აღარ სურთ ნაქურდალი გამოაჩინონ!!! იციან, რომ საქართველო უკოლხეთოდ – უწარსულოა!..

ეს ის კოლხეთია, რომელიც ათასწლეულებია უძლებს მტრისა და „მოყვრის“ ისრებს, და მადლს სწირავს მაცხოვარს ბიბლიური კოლხეთი, სადაც კაცობრიობის აკვანი დაირწა...

მწერალ ვლადიმერ ვახანიას ზღაპრული არგუსივით ასი თვალი აქვს და ნათლად ხედავს უძველეს კოლხეთს: ხმას რომ არ იღებს, ხელთ უპყრია დაბადების თარიღად მინიმუმ 7000 წელი...

„...და ესე ენაი მძინარე ერს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“.

ვლადიმერ ვახანია, როგორც მკვლევარი, ათასწლეულების იქით, პრეისტორიის ჭუჭრუტანებში იჭვრიტება და ხედავს კნოსოსის ნანგრევებში თიხის ფირფიტებს, ნაწერს ლურსმულით, სადაც კოლხეთის ისტორიაა შიგ გალურსული. ხედავს პირამიდების მშენებელ კოლხებს, რომლებთანაც ბერძნები ძუძუმწოვარ ბალღებად ჩანან... ხედავს ჯვარცმულ ქრისტეს და ესმის მისი ვედრება: „ელი, ელი! ლამა საბაქთანი!“ – („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“) გადავიწყების კუნძულებიდან, დავიწყებულთა მოესმის ხმები, დედამიწას რომ ჟრუანტელად ტანზე უვლიან... კოლხო! ის გზები, შორეთიდან მოსული გზები, შენს გარდა ქვეყნად სხვას არავის არ გაუვლია... ხედავს, რომ: ორმოცამდე საუკუნეა მას აქეთ... ის აყურადებს ბაბილონის გოდოლიდან გაფანტულ ქართულ ხმებს, მერე ეძებს და პოულობს კიდეც: ისტორის ძველ საბძელში, გალეწილი სხვათა ხმები, ვით მარცვალი ყრია ფეტვის, შენ ზღვისკარად დგახარ ულოდ! (მტერს წარსული მიაფეთე!ძ ვინც დაგეძებს კვლავ გაპოულობს, კოლხო! – ძეო იაფეტის...

მეცნიერმა იცის, რომ: ზოგმა ჩვენმა „დიდსწავლულმა“, ძველი კოლხეთის სიძულვილის საწამლავი დალია და... ყურს დააკლდა!.. და ჰეკატეს ტაძრის რეკვა აღარ ესმის შორეული „აია“-დან.

* ბენიფიციუმი (ლათ.) – წყალობა

ვლადიმერ ვახანიას ფიქრით და გონებით აღდგომის კუნძულზეც უმოგზაურია და იქ უხილავს ინდიელთა „თეთრი ბელადის“ თანმხლებ კოლხთა ათასწლეულების წინანდელი ნასახლარები... ფაზისის, ნილოსის და ევფრატის ნაპირებზე, ამაყსა და თავმომწონეს, ყულევთან ნაპოვნი, ხუთიათასი წლის წინ ხალიბთა მიერ ნაჭედი თასით დაულევია კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტეძ, მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟის, ლეგენდარული აიეტის სადღეგრძელო. არც კოლხი, ღმერთების რისხვა ძეუსი (ზევსიძ და გმირი კოლხები: პრომეთე (ამირანიძ, ჰერაკლე, ანტეოსი, ღვთაებრივი ორფეოსი და... მაცხოვარი იესო ქრისტე არ დავიწყებია. ამიტომაცაა ამ წიგნში რომ ბობოქრობს კოლხური (ქართულიძ სული, რომელიც მითაჟამიდან კოლხეთისკენ მოდიოდა ზღვით, ხმელეთით, ცის ეზოთერიკული ბილიკებით... ხან ჭყონდიდის (დიდი მუხაძ ტოტებზე ისვენებდა გადამფრენი ფრინველივით, ხან ვარსკვლავთა ფესვებში იმალებოდა გრაალის თასივით, ხან კი ატლანტიკის ფსკერზე თვლემდა პოსეიდონივით და... ელოდა მამა-ღმერთის ხელის შეხებას და გაღვიძებას. და აი, ათასწლეულების მერე განგების წყალობით მოვიდა ადამის ძე (ვლადიმერ ვახანიაძ და შეანჯღრია ის მთვლემარე კოლხური (ქართულიძ სული... ისე რომ, აწი არ უნდა დაიძინოს, წამითაც კი თვალი არ უნდა მილულოს. ეს ის სულია, რომელიც ეგვიპტის პირამიდებს, სემირამიდას ბაღებს რომ აშენებდა. არესის ჭალაში ოქროს საწმისს რომ ჰკიდებდა საბედისწეროდ. ეს ის სულია, რომელიც ედგა მზის ღვთაება კოლხ ჰელიოსს, იმ ჰელიოსს, რომელსაც ჩვენი მაცხოვარი, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე შეჰღაღადებდა: „ჰელიოს, ჰელიოს! მოვდივარ შენთან-ო!“...

...რა წარღვნა! რის მიწისძვრა! ეს კოლხური (ქართულიძ სულია, რომ ვერ ეტევა ზესკნელ-ქვესკნელში და რომ არყევს სამყაროს, რადგან ვერ პოულობს სივრცეს. „ალბატროსივით ფრთები რომ გაშალოს!“

**ვაჟა ეგრისელი,**
**აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი,**
**პოეტი-აკადემიკოსი.**

## „რაცა ღმერთსა არა სნადდეს“...

ისტორიულ და პრეისტორიულ კოლხეთზე მრავალი წერილი, ნარკვევი, ესე და სქელტანიანი წიგნი დაწერილა და მომავალშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ ვლადიმერ ვახანიას ტრიადა: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ლაზარეს აღდგენა“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“ – მართლაც სამაგიდო წიგნია.

თქმულებებით და ლეგენდებით დახუნძლული ბიბლიური კოლხეთი მწერლისა და მეცნიერის კვლევის საგანი და შთაგონების წყაროა.

ქვეყანამ იცის რომ პრომეთემ ზევსს ცეცხლი წაჰგვარა და ადამიანებს ჩამოუტანა დედამიწაზე. ამისთვის მრისხანე ზევსმა იგი კავკასიის კლდეზე მიაჯაჭვა სატანჯველად!!!

იესო ქრისტე ჯვარზე აცვეს სნეულთა, დავრდომილთა, ბრმათა და ყრუთა განკურნებისთვის... ქვეყნად სინათლის და სიკეთის დამკვიდრებისთვის. ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს თავისი გენიალობისთვის – „ის მაინც ბრუნავს!“

თქვენ როგორ გგონიათ, ღმერთთა მეუფე ზევსს, პრომეთე კლდეზე არ მიეჯაჭვა და რომ არ ეწამებინა, ვინმე თუ გაიგებდა პრომეთეს (ამირანისძ ლეგენდად ქცეულ სახელს?!

მაცხოვარს – იესო ქრისტეს ის ეკლიანი გოლგოთის გზა რომ არ გაევლო, განა მას ხალხი ღმერთად იწამებდა, წარმართთა სამოსელს გახდიდა და ქრისტიანული კვართით შემოსავდა?!

ჯორდანო ბრუნო კოცონზე რომ არ დაეწვათ, განა სამყარო გაიგებდა მის გენიალურ სახელს?! რა თქმა უნდა, არა!

პოლიტპატიმარი ვლადიმერ ვახანია უსამართლოდ საპყრობილეში რომ არ ჩაესვათ და მას იქ არ დაეწერა ეს ბრწყინვალე წიგნი, განა ქვეყანას ასე მალე მოედებოდა მისი სახელი?! ვიმეორებ – რა თქმა უნდა, არა! დიდმა რუსთაველმა ბრძანა: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!“

ჭეშმარიტად!

**სერგო წურწუმია,**
**აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტი.**

## წინ – წარსულისაკენ!

მე წავიკითხე ეს წიგნი და უკვე შემიძლია არა ზოგადად, არამედ უკვე კონკრეტულად ვილაპარაკო მასზე. და მართლაც, ისმის ეს მტკივნეული კითხვა: საიდან მოვდივართ? სად უნდა წავიდეთ? დღემდე კაცობრიობამ ვერ გასცა ამ კითხვებს პასუხი. რომ მოვყვეთ, მართლაც, რა სასწაული რამ არის დამარხული ჩვენს გენში, ამის ამოცნობა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს დღესაც. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ




როდესაც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დაიწყო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბერძნული კულტურა ამ დროს მსოფლიოს იყო მოდებული. ბერძნებმა დასავლეთ ევროპაში, კერძოდ კი აპენინის ნახევარკუნძულზე დიდი ქალაქები დააარსეს: სირაკუზა, ნეაპოლი, საფრანგეთის ტერიტორიაზე – მარსელი... სადაც ისინი შევიდნენ, წაშალეს ადგილობრივი კულტურის კვალი. ვერც ერთმა კულტურამ ვერ გაუძლო ბერძნული კულტურის მოძალებას. არადა, მე თავს უფლებას ვერ მივცემ, დავაკნინო იგი, რადგან დიდი კულტურა იყო და, ფაქტობრივად, მსოფლიო კლასიკას საფუძველი სწორედ ბერძნებმა ჩაუყარეს. მაგრამ, რა იყო კლასიკამდე, ეს უკვე საძიებელია. ან იქნებ, რასაც ჩვენ კლასიკას ვუწოდებთ და მხოლოდ და მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით შემოვფარგლავთ, იქნებ უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. დღეს ჩვენ გვიჭირს შევაჩეროთ ოკეანის გაღმიდან მოსული ისეთი რამ, კულტურას რომ ვერ დავარქმევთ. არადა, განა ოკეანის გაღმა დიდი კულტურა არ იქმნება? მაგრამ, საუბედუროდ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის, ეს არის უხამსობა და არა კულტურა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა დღეში იყვნენ ჩვენი წინაპრები. იღებდნენ რა ბერძნულიდან საუკეთესოს, უარს კი არ ამბობდნენ იმ უცხოზე, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე ხდებოდა ამის გადამუშავება და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მივიღეთ ისეთი სახე, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. მე დიდი სიყვარული მინდა შევუთვალო ჩემს წინაპრებს, ძლიერი გენისანი და ძლიერი ფესვისანი რომ იყვნენ. დღეს ამის გამოღვიძება უნდა მოვახერხოთ. მაგრამ რა გამოაღვიძებს მას? – ისევ საწყის სათავესთან დაბრუნება! სხვათა შორის, ხშირად, ბევრ ოპონენტს უთქვამს ჩემთვის, რომ 2000 წლის მიღმა გვაბრუნებო. 2000 წლის მიღმა დაბრუნება კი არა, „წინ – წარსულისაკენ“ – ამ დევიზმა უნდა გვიხსნას ჩვენ, რადგანაც წარსულისკენ უკან კი არა, წინ უნდა გადავდგათ ნაბიჯი და ეს უკვე ბედნიერი მომავლისკენ წაგვიძღვება. ამდენი პარალელი, სიტყვათა თანხვედრა რომ მოიძია ვლადიმერ ვახანიამ, განა არ არის ეს საკმარისი? ზოგიერთ რამეს დაკვირვებული თვალი სჭირდება. მაგალითად, როცა იყო დავა პირველ ქართულ სახელმწიფოზე – დიაოხზე, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა, იქ თუ რამეს პოულობდნენ თურქები, არამც თუ ქართველ, ევროპიდან ჩასულ მეცნიერებსაც კი არ მიუწვდებოდათ ხელი იმ ექსპონატებზე, ანკარის მუზეუმში შეაქვთ ყველაფერი. და ერთადერთი საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ დიაოხი ქართული სახელმწიფო იყო, ეს არის მხოლოდ ენობრივი მასალა. ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება: მეფეეები „უტუ ფურსებად“ იწოდებიანო. გენიოსის ალღომ არ უმტყუნა მას. არადა, „უტუ ფურსი“ არაფერს არ ნიშნავს ქართულად. მიხვდა მეცნიერი, რომ აქ სახელისა და წოდების შერწყმას აქვს ადგილი. „უტუ“ უნდა იყოს სახელი, „ფურსი“ – წოდება. არადა, ქართულ „უფროსთან“, მეგრულ-სვანურ „ფუსთან“ პარალელშია ეს „ფურსი“. თუ შემოქმედის ნიჭით არ არის ადამიანი დაჯილდოებული, ამას შეიძლება ვერც მიხვდეს.

მე მინდა, ამ გაუტეხელ კაცს, ვლადიმერ ვახანიას ჩემი სიყვარული გავუგზავნო აქედან და მოვეფერო მის უტეხ სულს. ამ წიგნით, რომელიც გვიძღვნა მან ჩვენ, მიგვანიშნა, რომ ეს არის კოდი, რომელიც უკვე გატყდა – ახლა უკვე ყველას შეგიძლიათ, თქვენ-თქვენი სიტყვა თქვათო...

გულწრფელად უნდა ვაღიარო: ისეთი ადამიანისაგან, როგორიც ვლადიმერ ვახანიაა, მე ყოველთვის აღმოჩენას ველოდები...

**ერეკლე საღლიანი,**
**პოეტი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი.**

# წლის მეცნი ბესტ

## რამდენიმე სტრიქონით

მე წავიკითხე ვლადიმერ ვახანიას „წერილები ციხიდან“. ეს რა საოცარი, გაუტეხელი ქართველი კაცია! მადლობა მის მშობლებს, მის გენეტიკას, მის კოლხელობას. განსაკუთრებით ის ადგილი მომეწონა და სევდა მომაწვა, როცა რუსეთიდან ჩამოსული ვლადიმერი თავის ჭიშკარს, კერიას ეფერებოდა. როგორ უჭირდა რუსეთში დაბრუნება, მაგრამ იცოდა რა, რომ ეს საჭირო იყო, მაინც წავიდა... ასეთი ვაჟკაცი და შრომისმოყვარე კაცი ცოტა მეგულება საქართველოში. მისი ახალი წიგნი უძვირფასესი საჩუქარია ქართველი ახალგაზრდობისათვის, მთელი ერისთვის...

**გურამ ფირცხალავა,**
**საქართველოს სახალხო არტისტი.**

* * *

...როგორ შეიძლება, ვლადიმერ ვახანიას საკნის კედლებში უწევდეს აზროვნება. ერთ ისტორიას მოვყვები. მე ელგუჯა ამაშუკელთან ვმეგობრობდი. სახელოსნოში მივედით მე და მხატვარი გოგი გეგეჭკორი. ვატყობ, რომ ქანდაკება დგას და დიდი ტილოა მასზე დაფარებული. რა არისმეთქი, – ვკითხე. უი, ეს შენ გეხებაო, – მითხრა. გადახსნა და... ამის მსგავსი რამ მას არ შეუქმნია: ეს ძეგლი უნდა დადგმულიყო, ახლა რომ მარჯანიშვილის მოედანს ვეძახით, იქ. ცხენზე ამხედრებული მხედარი, უნაგირიდან ჩამოდის, ცალი ფეხი უკვე მიწაზე აქვს და ეტყობა, რომ სადღაც მიდის, მიემართება. ცოტნე დადიანია-მეთქი? – ვკითხე. დამეთანხმა. ამ ქანდაკების დადგმაზე უარი მითხრესო. რატომ-მეთქი?, იმიტომ, რომ ცოტნეა დადიანიო... ვიღაც უგუნურებს ცოტნე დადიანი მარტოოდენ კოლხი ჰგონიათ, ის რომ ჭეშმარიტი, საყოველთაო ქართველი გმირია, ამას

## აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას ახალი წიგნი

# ერული სელერი



ვერ ხვდებიან. გული მწყდება, რომ ეს გენიალური ქანდაკება არსად არ დგას საქართველოში. რატომ გავიხსენე ეს? ვლადიმერ ვახანიაც ვერ დაინახეს, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ თქვენ დაინახეთ!

ვლადიმერ ვახანია სადაც არ უნდა იჯდეს, დარწმუნებული ვარ, მალე იხილავს მზის სინათლეს, ჩვენთან ერთად იქნება და მრავალი ახალი წიგნით გაგვახარებს.

**დიმა ჯაიანი,**
**საქართველოს სახალხო არტისტი**

### მომავლის წიგნი

ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ გააერთიანა ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარის, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა კვლევები. დიდ მადლობას მოვახსენებ მას, რომ ჩემი სტატიაც გამოიყენა და ჩართო წიგნში. ძალიან დიდი ნაწილი ამ წიგნიდან ეხება – ეფუთს, რომელიც დაიკარგა (როგორც ირკვევა პეტერბურგში, საჯარო ბიბლიოთეკაში ყოფილა). ძალიან მომეწონა ფესტოსის დისკოს წარმოჩენა. ეს საკითხი საკმაოდ დაწვრილებითაა მიმოხილული. მინდა გავამახვილო ყურადღება სიტყვა „ფაზისზე“, რომელსაც ამ წიგნის დიდი ნაწილი ეხება.

„ფაზისი“ – ნიშნავს „კურთხეულს“, „წმინდას“. ეს არის ჩემი კვლევა, თუმცა მე, ვლადიმერ ვახანიას კვლევებსაც ვეყრდნობი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სვანები იალბუზის მთას უწოდებენ ფაზისს, ანუ წმინდასა და კურთხეულს. მე, ბატონ ვლადიმერზე ბევრი მაქვს სალაპარაკო, რომელსაც ცალკე წერილში დავბეჭდავ...

**ნათელა ფოფხაძე,**
**მკვლევარი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი**

### უიშვიათესი ნაშრომი

დღემდე სამყაროს ისტორიაში იშვიათია ასეთი მეცნიერული ნაშრომი. ის ადასტურებს ძალდეველთაგან ქართველთა (კოლხთაძ წარმოშობის რეალურ ისტორიას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს და გზას უხსნის ქართველი ერის ისტორიულ განვითარებას. ყოველივე ეს დასტურდება ახალგაზრდა მეცნიერის აკადემიკოს გია კვაშილავას მიერ „ფესტოს დისკოს“ შესწავლით, რომელიც აღიარა მსოფლიოს სამეცნიერო ელიტამ.

აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას შესანიშნავმა ნაშრომმა კი დაარწმუნა ქართველი ხალხი, რათა ხმა ამოიღოს მსოფლიო საზოგადოების წინაშე და თქვას, რომ ჩვენ უფლის ჭეშმარიტი შვილები ვართ და ამიტომაც ვცხოვრობთ მის მიერ კურთხეულ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე.

ასეთი წიგნის ავტორი ციხეში კი არ უნდა იჯდეს, არამედ ერი და ბერი ხელისგულზე უნდა ატარებდეს.

მე მზად ვარ ჩემს კოლეგებთან ერთად ხელი მოვაწერო მიმართვას ხელისუფლების მიმართ, რათა ვადაზე ადრე გათავისუფლდეს აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს ერთობლივ თხოვნას და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს.

**რომულ ჯაფარიძე,**
**ქართული არმიის გენერალი, აკადემიკოსი.**

### ნამდვილი ისტორია და არა გაყალბებული!..

ვლადიმერ ვახანიას განათლებასთან და დიდ ნიჭიერებასთან ერთად აღმოაჩნდა მეცნიერული კვლევის შესაშური უნარი, დიდი ნებისყოფა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, დიდი სურვილი იმისა, რომ მეცნიერული სიზუსტით გაეანალიზებინა ქართველი და ევროპელი მეცნიერების მიერ მოძიებული მასალები კოლხეთზე და მის ისტორიაზე, რათა კაცობრიობის მიერ დასაწყისიდან დღემდე გამოვლილ ქარტეხილებში დასაბამისეული ხალხის ტიტულისთვის მებრძოლ ქვეყნებს შორის მიენიჭებინა კოლხეთისთვის დაწინაურებულთა შორის მოწინავის კუთვნილი ადგილი. მეტიც, წარმოეჩინა ქალდეური მოდგმის ის ხალხი, რომელმაც თავისი განვითარების გზაზე მსოფლიოს მთელი რიგი რეგიონების ხალხებთან ისტორიულად ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში შექმნა საზოგადოებისთვის უპირველესი ღირებულებების მქონე მილიონობით საბაზისო ლაზ-კოლხური სიტყვა, შესაბამისი დამწერლობა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აღმოაჩნდა სულიერი მზაობა იმისათვის, რათა ყოველგვარი ყოყმანისა და გართულებების გარეშე მიეღო უმაღლესი დონის ჰუმანური იდეების შემცველი ქრისტიანული სარწმუნოება.

იურიდიულ მეცნიერთა დოქტორმა, ლომონოსოვის პრემიის ლაურეატმა, „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობის“ შვიდტომეულის თანაავტორმა, ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ ბრწყინვალედ გაართვა თავი დასახულ ამოცანას და მოგვაწოდა შორეული წარსულის არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კაცობრიობისთვის მეტად მნიშვნელოვანი, ამასთან მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველი ისტორია.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ვლადიმერ ვახანიას თავის წიგნში: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“, ციტატების სახით მოტანილი აქვს ევროპელი და ქართველი მეცნიერების გამონათქვამები, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

**ჰეროდოტე:** „კოლხები არიან განფენილი მთელ სამყაროში. კოლხების წინაპარი ტომები, არკადიელები, ეტრუსკები, პელაზგები ცხოვრობდნენ პირველნი საბერძნეთის კუნძულებზე“.

**ნიკო მარი:** „იბერიად სამეგრელო და იბერებად მეგრელები იწოდებოდნენ, მერე კი ბერძნებმა ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოსაც შეარქვეს; აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მეგრელ-იბერებმა შემოიტანეს; ლაზებსა და მეგრელებს იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესიები ჰქონდათ, იბერ-ლაზ-მეგრელებს, ქრისტეს შემდეგაც VI-VII საუკუნეებში საკუთარი მეგრული ეროვნება მთლიანად დაცული ჰქონდათ“ (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1928, I, გვ.176-177ძ.

**ივ.ჯავახიშვილი:** „ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართულ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ შტოს, ან სვანურ შტოს“ (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1928 I, გვ.20ძ.

**ს.კაკაბაძე:** „ანბანი და მწიგნობრობა აღმოსავლეთ საქართველოში იერუსალიმელმა იბერებმა შემოიტანესო“ (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1928. I, გვ. 180ძ.

ივ.ჯავახიშვილის ცნობილი ფრაზა: **საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით.**

„საქართველოს პატრიარქმა კირიონ II ოფიციალურად პირველმა განაცხადა, რომ ქართველნი არიან ქალდეველები და მისალმა ევროპელი მეცნიერების აღმოჩენას ამ საკითხში. ჭეშმარიტად უზარმაზარი შრომა გასწიეს დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა. პატივი მივაგოთ მათ!“.

**გივი ხაზალია,**
**პროფესორი, აკადემიკოსი.**

### დიდი მკვლევარი

აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია არის ადამიანი, რომელმაც კლასიკური იურიდიული განათლება რუსეთში მიიღო, ამიტომ მე დიდი პატივისცემით ვეპყრობი მის ქართულს. იგი დახვეწილი ქართულით პატივს სცემს მკითხველს. ამ მსჯელობაში არ არის რაიმე ისეთი კურიოზი, რომელზეც კაცი იტყვის: აგერ, რუსეთში გაზრდილა კაცი და მკითხველამდე ვერ მიუტანია სათქმელიო. წიგნი შესანიშნავი ქართულით არის ნაწერი. ვახანიას ბევრი წიგნი შეუქმნია. მე მაქვს მეცნიერის 5 წიგნი, სადაც იგი მსოფლიოს ფინანსურ თუ სხვა საკითხებს იხილავს. ისიც განსხვავებულია რაღაცით სხვებისგან. აღსანიშნავია მისი საოცარი მსჯელობის უნარი. მან შეაერთა ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, პრეისტორია და მეცნიერების თითქმის ყველა დარგი... ასეთს იშვიათად ნახავთ მეცნიერებში, მწერლებსა და პოეტებში. მან ამ წიგნში დაამსხვრია ის მიდგომა გამოკვლევისა და იდეის გამოცემისადმი, რომელსაც დღევანდლამდე არტახები ახრჩობს. ვლადიმერ ვახანიამ შესანიშნავად დაარღვია ეს არტახები და ჩარჩოები. იშვიათია, 80-მდე წყარო რომ გააანალიზოს ვინმემ და მის სიღრმემდე განსაჯოს. ჩვენ გვაქვს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, პავლე ინგოროყვას და სხვათა კლასიკური ნაშრომები, მაგრამ ერთ წიგნში რომ მოაქციო ამდენი წყაროს ანალიზი, ეს არის რაღაც საოცრება. მე მეცნიერი კაცი ვარ, ამის პრეტენზია მაქვს და ისე, უბრალო სიტყვის გადაგდება რომ იცის კაცმა, ეგრე არ მინდა: ყოველი სიტყვა უნდა იყოს მოზომილი, ამიტომ დიდი მკვლევარები ელოდებიან დიდ მკვლევარს, დიდ მეცნიერს, რომელიც უფრო ნათელს მოჰფენს ქართულ ისტორიასა და პრეისტორიას.

ჯანმრთელობას და მალე გათავისუფლებას ვუსურვებ ბატონ ვლადიმერს!

**სიმონ ზაქარაია,**
**პროფესორი, აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტი.**

### გადატრიალება მითოლოგიაში

თავიდან უნდა ვთქვა ძირითადი სათქმელი. ამ წიგნის ავტორმა მოახდინა გადატრიალება მსოფლიო მითოლოგიაში. თანაც, არა ისე, რომ ეს იყოს საეჭვო, ანდა რაღაც ვერსია, ყველაფერი დამტკიცებული და არგუმენტირებულია. მე ვიცნობ ორი დიდი ავტორის ნაშრომს. „ძველი სამყაროს მითები და სინამდვილე“ გახლავთ ნაშრომი ბეკერისა, გერმანელი მეცნიერისა. ის 29 წლის ასაკში გარდაიცვალა და დატოვა 9 ტომი ამ მითოლოგიის შესახებ. მეორეა არტურ დიურანტი, ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც 90 წელი იცოცხლა, გასული საუკუნის მიწურულს გარდაიცვალა და რომელმაც დაწერა წიგნი „ცეზარიდან იესო ქრისტემდე“. ბეკერი არგონავტებზე მსჯელობისას წერს, რომ ისინი წამოვიდნენ კოლხეთისკენ, სადაც მეფობდა „დიკარ ი ვარვარ ეეტი“... ასე მოიხსენიებს ის აიეტს, თითქოსდა ეს ოქროს საწმისი ბერძნების ყოფილიყო, რომელიც მოიპარეს კოლხებმა და ბერძნები წამოვიდნენ, რათა ეს თავიანთი ნადავლი, თავიანთი კუთვნილება უკანვე დაებრუნებინათ საბერძნეთისთვის. დიდი გამბედაობა და გამჭრიახობა გჭირდება ადამიანს, როდესაც იცი, რომ ყველაფერი ეს ისტორიაში შესულია ასეთნაირად და უნდა შეებრძოლო მსოფლიო ავტორიტეტებს და დაამტკიცო საწინააღმდეგო. აი, ამას აკეთებს ბატონი ვლადიმერ ვახანია. ეს დიდი მეცნიერული გმირობაა, და ყველაზე დიდი გმირობა ის არის, რომ თვალნათლივ დაგვანახვა იესო ქრისტეს წარმომავლობა, რომ საქართველო იყო მისი რჩეული ქვეყანა, რომ მეორედ მოსვლის დროს, როგორც ეს ნათქვამია „ძებაი და დიდებაი ქართულისა ენისაიში“, მსოფლიოს ის მოიკითხავს კოლხურ, ქართველურ ენაზე. საერთოდ, კოლხებს დასჩემდათ დიდი აღმოჩენებისა და დიდი მიღწევების გაკეთება საპატიმროებში. ლევან გოთუა გავიხსენოთ – „გმირთა ვარამი“. მაგრამ ის იყო გენიალური პროზა, რომანი. ეს არის მეცნიერული გარღვევა. და მე ახლა არამც და არამც არ მეეჭვება, თუ რატომ არის ვლადიმერ ვახანია დატუსაღებული. ასეთი აზროვნების კაცი დღევანდელ ხელისუფლებას არ სჭირდება. პოლიტიკაზე არ ვილაპარაკოთო, მაგრამ ეს ყველაზე დიდი პოლიტიკაა, რასაც დღეს ბატონი ვლადიმერ ვახანია აკეთებს.

**ზაურ კვარაცხელია,**
**პროფესორი.**

### გულით ნათქვამი

მე, როგორც მწერალი, გამაოცა ვლადიმერ ვახანიას არა მარტო საქართველოს ისტორიაში და პრეისტორიაში მეცნიერულმა წვდომის ალღომ, არამედ მთელი სამყაროს მითოლოგიის, ლეგენდებისა და თქმულებების, ასტრონომიისა და ასტროლოგიის ცოდნამ, ღმერთებისა და მითიური გმირების გამოხმობამ შორეული წარსულის ლაბირინთებიდან და თავის დიდ წიგნში „დასახლების“ გასაოცარმა ნიჭმა და უნარმა.

**ნოდარ ხუნდაძე,**
**პოეტი**

* * *

... აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია სხვადასხვა ჟანრის ოცდახუთამდე წიგნის ავტორია. მაგრამ ისეთი წიგნი, როგორიცაა „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“ და „ლაზარეს აღდგენა“, – ეპოქალური წიგნია და მას დროის მსახვრალი ხელი ვერაფერს დააკლებს.

**ილია ლომია,**
**იურისტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.**

* * *

მკვლევარი და მეცნიერი ვლადიმერ ვახანია დიდი ქველმოქმედიცაა, ამაში მარტო ჩემი – აფხაზეთიდან დევნილის, ომის ქარცეცხლში გამოვლილის წიგნი – „ომი აფხაზეთში“ იკმარებდა, რომელსაც სინათლე ახილვინა თვითონ ციხის სიბნელეში მყოფმა დიდმა პიროვნებამ. მე თუ ვერ გადავუხადე სამაგიერო, ბატონ ვლადიმერ ვახანიას ღმერთი გადაუხდის!

**რომანოზ ზარანდია,**
**პოლკოვნიკი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი**

* * *

წიგნი-ბესტსელერი – ასე ვუწოდებდი მკვლევარისა და მეცნიერის ვლადიმერ ვახანიას წიგნს: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსს“, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ავტორი მას არ ყიდის და საჩუქრად ურიგებს მადლიერ მკითხველ საზოგადოებას...

**კახა ბასილია,**
**იურისტი**

* * *

სამართალმცოდნეობის დოქტორს ვლადიმერ ვახანიას წიგნისთვის – „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“ – ჩემი ნება რომ იყოს, დისერტაციის დაუცველად, როგორც გიორგი ლეონიძეს, მივანიჭებდი ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს.

**გოდერძი ჩაგელიშვილი,**
**იურისტი**

* * *

წიგნის ასეთი გრანდიოზული პრეზენტაცია იშვიათად თუ მინახავს, მაგრამ მკვლევარისა და მეცნიერის ვლადიმერ ვახანიას ნაშრომი ამას ჭეშმარიტად იმსახურებს.

**ლარისა ხაჭაპურიძე,**
**მსახიობი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი**

* * *

**რედაქციისაგან: მკითხველს ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ვლადიმერ ვახანიას ახალი წიგნის შესახებ 40-ზე მეტ მეცნიერს აქვს დაწერილი რეცენზია. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს ტრილოგია არის საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის ახალი გასაღები, ნამდვილი მეცნიერული მიგნება.**

## მოზრძანდი, წელო ახალო!



**აღმოსავლური ჰოროსკოპით, 2012 წელი დრაკონის წელიწადია. მართალია, დრაკონი არარეალური ცხოველია და იგი ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ 2012 წელი სულაც არ იქნება ილუზორული. იგი აქტიურობასა და მებრძოლ ხასიათს მოითხოვს. ეს წელიწადი არაა გაუბედავი ადამიანებისთვის. ლეგენდის მიხედვით, დრაკონი სულ არსებობს, იგი დაიწვება და ფერფლისგან კვლავაც აღდგება. დრაკონს არ უყვარს მატყუარა, არაერთგული ხალხი, ასეთებს იგი სასტიკად სჯის. ამიტომ ეს წელიწადი მართალი ადამიანებისთვისაა. Presage.tv ესაუბრება ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს.**

# დრაკონს არ უყვარს უსამართლობა

## ასტროლოგიურად ვისთვის როგორი იქნება 2012 წელი?



**— აღმოსავლური კალენდრით, 2012 წელი დრაკონის წელიწადია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დრაკონი არარეალური, ქიმერული ცხოველია, მომავალი წელი ილუზორული ხომ არ იქნება?**

— დრაკონი მართალია, მითიური ცხოველია, მაგრამ დრაკონი არის ლომის სინონიმი, ამიტომ საქართველოსთვის ეს წელიწადი ძალიან მნიშვნელოვანია. არანაირად ილუზორული არ იქნება, რადგან აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, დრაკონი მართავს საქართველოს. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ეს გახლავთ რადიკალური ცვლილებების წელიწადი, ყველა დონეზე — პოლიტიკის სფერო გინდათ, ეკონომიკის სფერო, ფინანსური, ნებისმიერ სფეროში მოსალოდნელია რადიკალური ცვლილებები. თქვენ ნახავთ, რომ ბევრი ხელმძღვანელი დაკარგავს თანამდებობას, გამოჩნდებიან ახალი ბიზნესმენები, ახალი პოლიტიკოსები, საინტერესო ადამიანები. დრაკონი ყოველთვის ხელს უწყობს სამართლიანობის დასადგურებას, კეთილშობილებას, აქტიური პოზიციის დაკავების შესაძლებლობას; კონტაქტების, შეხვედრების, საინტერესო მრავალფეროვანი ინფორმაციის გაცვლის უზრწყინვალესი პერიოდია. მათ შორის, იგი საოჯახო ურთიერთობებისა და სასიყვარულო სფეროში სერიოზულ გამოცდებს უწყობს ხელს; ანუ, ერთი მხრივ, ადამიანთა ხასიათში მატულობს ეჭვიანობა და, მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც დრაკონი ერთგულებას ითხოვს. ვინც ამ პრინციპების დაცვას შეძლებს, შეინარჩუნებს ოჯახსა და საყვარელ ადამიანს. ვინც არა და, ძალიან ბევრის ურთიერთობა დაიშლება.

**— თქვენ პოლიტიკა ახსენეთ და, 2011 წელს, ბოცვრის წელიწადში, პოლიტიკაში ახალი მოთამაშეები უკვე შემოვიდნენ. დაახლოებით როგორი იქნება მომავალი წელი დღევანდელი ხელისუფლებისა და ახალი მოთამაშის — ბიძინა ივანიშვილისთვის?**

— ზოგადად, ბიძინა ივანიშვილისთვის მომავალი წელიწადი უკეთესია, ვიდრე პრეზიდენტისთვის, მაგრამ ივანიშვილმა იმდენი შეცდომა დაუშვა 2011 წელს და აქედან გამომდინარე, იმდენი ბარიერი შეიქმნა, რომ ვშიშობ, 2012 წლის ძირითადი პერიოდი მას ამ ბარიერების გადალახვაში გაუცდება. ამიტომ შეიძლება, სწორად ვერ გამოამჟღავნოს ის პოტენციალი, რომელიც აქვს. რაც მთავარია, თუ რაღაც განსაკუთრებული და საიდუმლო არ აქვს ჩაფიქრებული, რომელიც ჩვენ არ ვიცით და, რომელიც ბომბის აფეთქებას მოგვაგონებს, ეჭვი მეპარება, მოახერხოს თუნდაც საპარლამენტო სფეროში რაიმე წარმატების მიღწევა, რადგან აბსოლუტურად ცოტა დროა დარჩენილი არჩევნებამდე. საბანკო სისტემაში პრობლემები შეექმნა, გადარიცხვის საშუალება არ ექნება, რაიონებში მასებთან ურთიერთობა აბსოლუტურად ნულზეა. ტელევიზია არ აქვს, რადიო არ აქვს, საკუთარი პრესა არ გააჩნია, ანუ კამპანიისთვის აუცილებელი პარამეტრები, ატრიბუტები არა აქვს. ამიტომ მიმაჩნია, რომ იგი ძალიან იგვიანებს, ძალიან ნელი ტემპი აქვს აღებული, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს პერსპექტივა მაინც უფრო მეტი აქვს, ვიდრე პრეზიდენტს.

რაც შეეხება შეცდომებს, ბევრი იყო, დაწყებული იქიდან, რომ ოქტომბერში არაფრით შეიძლებოდა პოლიტიკაში მოსვლის გაცხადება, რადგან ეს არის სასწორის ზონა — აპოლიტიკური ნიშანი. სასწორს პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებს, ანუ ასტროლოგიური კუთხით, ის არასწორ დროს „დაიბადა“, როგორც პოლიტიკოსი. მეორეც, ზოდიაქოს ნიშნებისთვის სასწორი ყველაზე მშვიდობიანი ნიშანია და, როცა გამოდიხარ განცხადებით, აუცილებლად მას უნდა მისცე დიპლომატიური და მშვიდობიანი ელფერი. გარდა ამისა, ეტყობა, აბსოლუტურად არ ჰქონდა იურისტებთან კონსულტაცია. თუ ადამიანს სამი მოქალაქეობა აქვს, მას უნდა სცოდნოდა, რომ ამის გამო, თუნდაც იგი ადრე მთავრობის წევრების მეგობარი ყოფილიყო, არ აპატიებდნენ და ხელჩასაჭიდი ექნებოდათ, რომ ვერ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. ამასთან, 25 ნოემბრისთვის ჰქონდა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია, რომელიც მზის დაბნელების პერიოდს უკავშირდებოდა. მზის დაბნელების დროს კი გლეხიც არ ახლებს ხელს მცენარეს და წყალს არ უსხამს, არამცთუ ასეთი სერიოზული დაფუძნება განხორციელდეს, ანუ შეცდომების მთელი სერია აქვს, რაც შემდგომ ბარიერებს უქმნის. ამიტომ ამ შეზღუდვების გადალახვას, შეიძლება, მოანდომოს ის დრო, რომელიც უნდა ყოფილიყო ქულების მომტანი. ელემენტარულად, ჩემთვის რომ ეკითხა, ვეტყოდი, რომ საერთოდ უნდა გამოჩენილიყო 2012 წლის 23 იანვრიდან და არა 2011 წელს. იქამდე შემზადებულიყო, საკუთარი ტელევიზია, რადიო, პრესა გაეხსნა და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მოეგვარებინა.

**— სააკაშვილმა რა შეცდომები დაუშვა ამ წელს?**

— ჩვეულებრივად, პრეზიდენტს პრობლემური მომენტი აქვს, რომ სულსწრაფია. ჩქარობს და, სიჩქარიდან გამომდინარე, შესაძლოა, ზოგჯერ ისეთი რამ წამოსცდეს, ან უხარისხოდ ისეთი რამ აშენდეს, რაც მერე პრობლემებს უქმნის. მეორეც, გამოსწორებული არ არის უმუშევრობის პრობლემა. შესაბამისად, ნატოში შესვლაზე რომ არის საუბარი, ნატო, პირველ რიგში, ითხოვს, რომ იყოს პრესის და იურიდიული სფეროს თავისუფლება, რომელიც ნამდვილად არ არის საქართველოში. აქედან გამომდინარე, არანაირად ნატო არ მიიღებს საქართველოს თავის წევრად, სანამ ეს არ გამოსწორდება. იმის მაგივრად, ეს გაუმჯობესდეს, პირიქით, პრესის ჯიხურები აილეს და პრესას მაქსიმალური შეზღუდვის პირობებში უწევს ყოფნა. ასეთი შეცდომები, ცხადია, ნეგატიურ დაღს ასვამს სააკაშვილის მოქმედებებს.

**— მაიას ტომის წინასწარმეტყველებით, 2012 წელი კაციობრიობის დასასრულის თარიღია. ამასთან დაკავშირებით თქვენ რას გვეტყვით?**

— ხალხი არასწორად იგებს, ეს არის ტრანსფორმაციის და არა დაღუპვის წელიწადი ანუ მზის განვითარების მეხუთე ეპოქალური ციკლი (2012 წლის 21 დეკემბერსძ სრულდება და იწყება მეექვსე განვითარების ეტაპი, რომლის მსვლელობისას ადამიანის ცნობიერება მესამე განვითარების ზოლიდან მეოთხეში გადადის. ამიტომ ეს მტკივნეული პროცესია და უკავშირდება გეომაგნიტური ველის პოლარიზაციის შეცვლას დედამიწის პოლუსებზე. უკავშირდება დიდი რაოდენობით ეკოლოგიური კატასტროფების, ტექნოგენური კატასტროფების ტენდენციას, დაპირისპირებას პოლიტიკოსებსა და ცალკეულ ადამიანებს შორის, ახალ დაავადებებს და სხვა სახის უბედურებებს, რაც ტრადიციულად დედამიწის გეომანტიის შეცვლით არის განპირობებული.

ეს მოვლენა დაახლოებით 2000 წელიწადში ერთხელ ხდება. სწორედ ასეთ ისტორიულ დროს მოგვიწია ცხოვრება, რაც კლიმატურ პირობებსაც ცვლის, მაგრამ ეს არ ნიშნავს დედამიწის განადგურებას, მხოლოდ ნიშნავს, რომ რთულდება პერიოდი. რელიგიური კუთხით, ზუსტად ამ პერიოდს უწოდებდნენ აპოკალიფსს, ანუ ანტიქრისტეს მოსვლას, რომელიც ქმნის პრობლემებს, უფრო მეტად ამაღლებს სიკვდილიანობისა და კატასტროფების ტენდენციას, მაგრამ 2014 წლიდან სიტუაცია თანდათან დამშვიდდება და დაიწყება ძალიან კარგი, ნათელი პერიოდი როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს სასარგებლოდ. ამიტომ ეს ორი წელი ცოტა მშვიდად, წინდახედულად უნდა განვლოთ, რომ სხვადასხვა სახის პრობლემის წინაშე არ დავდგეთ. 2012 წელს ეკოლოგიური კუთხით საქართველო შედარებით დაცული იქნება, ზოგადად მსოფლიოში კი ეკოკატაკლიზმები მოიმატებს.

**— 2012 წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის როგორი იქნება? ყველაზე წარმატებული რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვისაა?**

— წლის პირველი ნახევარი, ივნისამდე კარგია კუროს, თხის რქის და ქალწულის ნიშანთათვის. არა უშავს თევზების და კირჩხიბის ნიშნისათვის. წლის მეორე ნახევარი, ივნისიდან წლის ბოლომდე, კარგია ტყუპების, სასწორის და ასევე, მერწყულის ზოდიაქოს ნიშანთათვის და არა უშავს ვერძისა და ლომისთვის, მათაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა. შედარებით რთული წელიწადი იქნება მორიელთათვის. ესაა ძირითადი პარამეტრები.

**— რომელ წელიწადში დაბადებულთათვის არის ეს წელიწადი უკეთესი?**

— აღმოსავლური კალენდრით, ეს წელიწადი კარგია თავად დრაკონის, ვირთხისა და მაიმუნის წელიწადში დაბადებულთათვის. ცუდი არ იქნება ცხენისა და ვეფხვის წელიწადში დაბადებულთათვის, შედარებით რთულია იგი თხის, ძაღლისა და ხარის წელიწადში დაბადებულთათვის, ხოლო დანარჩენებისთვის - საშუალოა.

**— დრაკონის წელს რა ფერებით უნდა შევხვდეთ და სუფრაზე რა უნდა მივიტანოთ?**

— ძირითადი ფერებია შავი და ლურჯი. შესაძლოა, ამ ფერებთან, მცირეოდენი აქსესუარის სახით, გამოვიყენოთ წითელი, მწვანე, ფირუზისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ოქროსფერი ტონები. ესენი ძირითადი ფერებია. რაც შეიძლება მხიარულად უნდა შევხდეთ ახალ წელს, დრაკონს უყვარს ფეიერვერკები, კარნავალები, მხიარულება. მეტი უნდა იყოს სურსათ-სანოვაგე. შესაძლოა, ორი კერძი იდოს, მაგრამ ბევრი უნდა გვქონდეს, არ უნდა დაგვაკლდეს სუფრაზე. ნებისმიერი, დაწყებული მამაპაპური საცივიდან, დამთავრებული თუნდაც ეგზოტიკური საკვებით, ყველაფერი მისთვის მისაღებია, მაგრამ აუცილებელია თევზეული და ზღვის პროდუქტები, რომლებიც დრაკონს ძალიან უყვარს. ეს წინა პლანზე უნდა იყოს წარმოდგენილი და კიდევ, დრაკონს ცოტათი უყვარს ძვირფასი ნივთები, ამიტომ, თუ რაიმე ძვირფასეულობა გვაქვს - ბრილიანტი, ოქრო, პლატინა, ვერცხლი, გავიკეთოთ ხელზე. თუ ახალ წელს სახლში შევხვდებით, დრაკონის ფიგურა წინ დავდოთ და ამით მივაგოთ პატივი, რათა ჩვენდამი მისი კეთილგანწყობა წლის განმავლობაში შესაბამისი იყოს.

**— ზოგადად, დრაკონის წელიწადში რას არ ურჩევდით ადამიანებს? ყველაზე მეტად რა არ უყვარს დრაკონს?**

— დრაკონს არ უყვარს უსამართლობა, ამას ვერ იტანს და ყველა ხელმძღვანელი პირი, ვინც 2012 წელს უსამართლოდ მოიქცევა, აუცილებლად დაისჯება. დრაკონს არ უყვარს არაერთგული ხალხი. ასეთებს იგი სასტიკად სჯის, მატყუარა ხალხი არ უყვარს.

**მანანა ნოზაძე**

## მოქმედება იწყება

## „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფები

**როგორც გვაუწყებენ, საზოგადოებრივ მოძრაობაში შექმნილია ცხრა თემატური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. სამართლის სისტემის, ადამიანის უფლებების და მართლმსაჯულების ჯგუფს უხელმძღვანელებს მინდია უგრეხელიძე, ენის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ჯგუფს — ზაზა ფირალაშვილი, ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელმძღვანელია დემურ გიორხელიძე, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისა — ოთარ ხუფენია, საგარეო პოლიტიკის ჯგუფს თედო ჯაფარიძე ჩაუდგება სათავეში, კონფლიქტების მოგვარების ჯგუფს — გია ვოლსკი, რეგიონული პოლიტიკისა და ეროვნული უმცირესობების ჯგუფის ხელმძღვანელია მამუკა არეშიძე, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ჯგუფისა — ირაკლი სესიაშვილი, ახალგაზრდებისა და სპორტის ჯგუფის მეთაურია ბასა ჯანიკაშვილი.**

**როგორც იტყვიან, აბა თქვენ იცით!**

## ინფორმაცია

## 2012 წელი ევროზონის დაშლის დასაწყისია

**ცნობილი და გავლენიანი ბრიტანული ეკონომიკური და ანალიტიკური ცენტრის პროგნოზით, მიმდინარე წელი ევროზონისთვის უკიდურესად მძიმე იქნება და მისი დაშლის ტენდენცია კიდევ უფრო დაჩქარდება. — მიმდინარე წელი გახდება ევროზონის კრახის დასაწყისის ათვლის წერტილი, — ნათქვამია ცენტრის გამოკვლევებში. ორგანიზაციის სპეციალისტების განცხადებით, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ უკვე ათი წლის შემდეგ ევრო აღარ იარსებებს. 2012 წელი კი ამ პროცესის დასაწყისი იქნება მას შემდეგ, რაც ევროზონას საბერძნეთი და იტალია დატოვებენ.**

**ამასთან, ბრიტანული „ბი-ბი-სი“ აქვეყნებს საბერძნეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის კომენტარს, რომელიც ამბობს, რომ საბერძნეთის ევროზონიდან გამოსვლა და ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა, „სრული ფინანსური კოშმარი“ იქნება.**

## სკანდალი აგორდა

**საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა. გაზეთმა „ლიბერასიონმა“ პრეზიდენტი საფინანსო აფიორულ ორგანიზაციასთან კავშირში დაადანაშაულა. გამოცემამ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის დაკითხვის შიფრი მოიპოვა, სადაც ძალოვანი უწყების ყოფილი თანამშრომელი ყვება, რომ ჯერ კიდევ 1994 წელს სარკოზიმ, რომელიც მაშინ ფინანსთა მინისტრი იყო, ორი ფირმის შექმნას დაუჭირა მხარი, რომელთა ანგარიშებზე ლუქსემბურგში ე.წ. „ოტკატები“ ირიცხებოდა იმ კონტრაქტებიდან, რომლებიც პაკისტანთან წყალქვეშა გემების გაყიდვიდან შემოდიოდა.**

**„როიტერის“ ცნობით, აღნიშნულმა ფირმებმა ორი წლის განმავლობაში 185 მილიონი ფრანკი მიიღეს. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული თანხები იმდროინდელი მთავრობის მეთაურის ედუარდ ბალადიურას საარჩევნო კამპანიას ხმარდებოდა, რომლის ოფიციალური წარმომადგენელი სწორედ ნიკოლა სარკოზი იყო.**

ინტერპრესნიუსი

◉ განსჯა




# რაღა სიტყვა და რაღა ჩიტი... თუ გააფრინეშ...

## ხუმრობები და უჩვეულო სიტყვა-პასუხი 2011 წლის

**გასულ წელს პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ უხვი სხვადასხვა მახვილსიტყვაობასა და დაუდევრობებზე. ყველაზე ხშირად ამ დროს მათ ეჭვიც არა ჰქონდათ, რომ მათ სიტყვებს მსოფლიო მოისმენდა. მაგრამ პოლიტიკოსების უნარი სწორედ ისაა, რომ გამოვიდნენ ნებისმიერი სიტუაციიდან. რამდენად მოხერხებულად გამოსდით ეს მათ, განსაზღვრავს ზოგჯერ კიდეც სახელმწიფო მოღვაწის კარიერას.**

**პოლიტიკოსის პროფესია — საჯაროა — ამიტომ თითოეული ნათქვამი სიტყვა აუცილებლად იქნება გამოყენებული მისი ავტორის წინააღმდეგ. ზოგჯერ პოლიტიკოსებს ეს ავიწყდებათ და საკმაოდ საჩოთირო სიტუაციებშიც აღმოჩნდებიან ხოლმე.**

### შენ თავს მიხედე

ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ასე მოუვიდა რესპუბლიკელ კონგრესმენს ვისკონსინის შტატიდან **ჯიმ სენსენბრენერს,** რომელმაც ტელეფონით საუბრისას თავის ნაცნობთან შენიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი **მიშელ ობამა,** როდესაც სახავს პროგრამას სიმსუქნესთან ბრძოლის შესახებ, თავად უნდა აკეთებდეს ისე, რასაც ქადაგებს. **„გვიკითხავს ლექციებს კარგ საკვებთან დაკავშირებით, თავად კი — უზარმაზარი უკანალი აქვს",** — თქვა კონგრესმენმა, რომელსაც ზედმეტი წონა აწუხებს.

სენსენბრენერის გამონათქვამი დაბეჭდეს გაზეთებმა, სკანდალმა ეროვნული მასშტაბი მიიღო და პოლიტიკოსი იძულებული გახდა გაეგზავნა წერილი პირველი ლედისთვის ბოდიშის მოხდით.

თუ ამერიკელი კონგრესმენი საუბრობდა ობამაზე ზურგს უკან, ლატვიელმა **იანის ურბანოვიჩმა** დებატების დროს პირდაპირ მიახალა ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს **ინარ მურნიეცს,** რომ ის **„შტერი დედალი ბატია"**. მურნიეცე მოითხოვდა, არ შეეყვანათ ურბანოვიჩი თავის კომისიაში. როდესაც გამოსვლის რიგმა მოუწია, ურბანოვიჩმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში. **„მე აწი აღარ გიწოდებთ თქვენ „შტერ დედალ ბატს". მე გიხდით ბოდიშს, რომ დაგამცირეთ არა თქვენ, არამედ საკუთარი თავი, რომ თავი ვერ შევიკავე. მაგრამ ამდენ სიცრუეს ახალგაზრდა დეპუტატი ქალისგან არ ველოდებოდი",** — მწარედ თქვა პოლიტიკოსმა, რომელიც მაინც შეიყვანეს კომისიაში.

მეორე, ვინც არა კეთილი სიტყვებით მოიხსენია ქალი, აღმოჩნდა ჩილეს პრეზიდენტი **სებასტიან პინიერა,** როდესაც ერთ-ერთ სამიტზე გამოდიოდა, პინიერამ განაცხადა: **„იცით რაშია სხვაობა პოლიტიკოსსა და ქალს შორის? როდესაც პოლიტიკოსი ამბობს „კი", ეს ნიშნავს „შეიძლებას"; როდესაც ის ამბობს „შეიძლებაო", ეს ნიშნავს, რომ „არა"; ხოლო, როდესაც ის ამბობს „არა" — ეს არ არის ნამდვილი პოლიტიკოსი. როდესაც ქალი ამბობს „არას", ეს ნიშნავს „შეიძლებას"; როდესაც იგი ამბობს „შეიძლებაო", ეს ნიშნავს „დიახს"; ხოლო თუ იგი ამბობს „დიახს" — ეს ნამდვილი ქალია".**

პრეზიდენტისგან ეს ბევრ ჩილელ ქალს ეწყინა, მათ შორის პოლიტიკოსებსაც, რომლებმაც შედარებას **„უადგილო და შეურაცხმყოფელი"** უწოდეს.

მაგრამ მამაკაცი პოლიტიკოსები უფრო ხშირად ურთიერთობას ქალებთან როდი არკვევენ. წლის დასაწყისში ოპოზიციონერმა დეპუტატმა **გიორგი ცაგარეიშვილმა** საქართველოს პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს** ბრალი დასდო **„უგუნური იდეების"** გავრცელებაში იმასთან დაკავშირებით, რომ გაანათონ უშბა, რომელიც რუსეთის საზღვარზეა და რომლის სიმაღლეც 4,7 ათასი მეტრია. **დეპუტატმა სააკაშვილი ყოფილ საბჭოთა ლიდერ ნიკიტა ხრუშჩოვს შეადარა, რომელსაც „უნდოდა შემოებრუნებინა მდინარეები და მოეყვანა სიმინდი ციმბირში".**

წარუმატებლად გამოიყენა სიტყვები იაპონიის თავდაცვის სამინისტროს სამხართველოს უფროსმა **სატოსი ტანაკამ.** როდესაც უპასუხებდა შეკითხვას, თუ ცენტრალური მთავრობა რატომ გაურბის ამერიკის სამხედრო ბაზის გადატანის კონკრეტული თარიღების დასახელებას, ჩინოვნიკმა შემდეგი რამ თქვა: **„ამბობთ თქვენ განა: „მე ვაპირებ საკუთარი თავის გაუპატიურებას", სანამ ვინმე სხვას გააუპატიურებდით?"**

პასუხად სატოსი ტანაკამ გამოიყენა სიტყვა **„ოკასუ",** რომელსაც აქვს არა მხოლოდ მნიშვნელობა **„დაარღვიო კანონი",** არამედ **„იხმაროს ძალადობა ვინმეზეც"**. შედეგად ჩინოვნიკი გაათავისუფლეს, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ესიხიკო ნოდამ ბოდიში მოიხადა პრეფექტურის მცხოვრებლების წინაშე.

აპრილში მეხუთე მოწვევის სახელმწიფო დუმის სპიკერმა **ბორის გრიზლოვმა,** როდესაც საუბრობდა დეპუტატების პარლამენტის სხდომაზე მოსვლის შესახებ, განაცხადა, რომ ის თვალყურს ადევნებს ხალხის რჩეულთა დისციპლინას. **„აი, მეც მიმაჩნია, აი ასე — თვალებით ვითვლი, თუ ვინ არის და ვინ არა. შემდეგ ვამოწმებ მივლინებებს, ვაკეთებ დასკვნებს, ვიწერ ჩემს ბლოკნოტში",** — აღიარა გრიზლოვმა.

ბევრი მეთვალყურე გააოცა გვატემალის პრეზიდენტის ცოლმა **სანდრა ტორესმა,** რომელიც, იმის გულისთვის, რომ მიელო უფლება სახელმწიფოს მეთაურის არჩევნებში, გაეყარა ქმარს. ოპოზიციამ ბრალი დასდო საპრეზიდენტო წყვილს მცდელობაში ხულიგნური გზით შეინარჩუნოს ხელისუფლება. **ამაზე ტორესმა განაცხადა, რომ თავის სიყვარულს გვატემალისადმი უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ქმართან ურთიერთობის გრძნობას.** მაგრამ სიტუაციაში ჩაერთო უმაღლესი სასამართლო და მაინც ჩამოაშორა ტორესი არჩევნებს, მიიჩნია მისი განქორწინება ფიქტიურად, გვატემალის ახალი პრეზიდენტი კი გახდა გადამდგარი გენერალი **ოტო ტერესა მოლნა.**

აპრილის ბოლოს ბელარუსის ლიდერმა **ალექსანდრ ლუკაშენკომ** აშხაბადში ვიზიტის დროს თურქმენეთის პრეზიდენტს **გურბანგული ბერდიმუხამედოვს** პოლიტიკური დღეგრძელობა უსურვა. **„მინდა, რომ თქვენი საპრეზიდენტო ვადა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მე ვმუშაობ",** — სულით და გულით უსურვა მას ლუკაშამ.

მაისის დასაწყისში ზედმეტი გულიაობა გამოიჩინა იტალიის პრემიერმა **სილვიო ბერლუსკონიმ,** რომელმაც განაცხადა, რომ ძილი დაკარგა ლიბიის მოვლენების გამო. **„მე შეშფოთებული ვარ, იმდენად შეშფოთებული, რომ ღამით არ მძინავს, მათ შორის იმიტომაც, რომ სიტუაცია იქ საკმაოდ სერიოზულად გამოირჩევა იმისგან, თუ რა მოხდა ეგვიპტესა და ტუნისში",** — განაცხადა პრემიერმა, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ იძულებული გახდა გადამდგარიყო.

### „ბატონი პუტინი და ზოგიერთი ჩინელი"

წელს თავისი იუმორით სახელი გაითქვა ამერიკელმა რესპუბლიკელმა სენატორმა **ჯონ მაკკეინმა,** რომელიც კომენტარებს მუდმივად უკეთებდა მოვლენებს რუსეთში. სენატორმა თავისთვის დამახასიათებელი მანერით კომენტარი გაუკეთა მოამარ კადაფის სიკვდილს, განაცხადა, რომ რევოლუციის ტალღა არაბულ სამყაროში შეიძლება მივიდეს რუსეთამდეც. **„სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს და, შეიძლება,**



**ბატონ პუტინსაც და ზოგიერთ ჩინელს ცუდად ეძინათ ამ ღამით",** — თქვა მაკკეინმა.

ვლადიმერ პუტინმა მაკკეინის რეპლიკას უპასუხა ყოველწლიური პირდაპირი ხაზის მიმდინარეობის დროს. პრეზიდენტმა ეჭვი გამოთქვა რესპუბლიკელის სულიერ სიჯანსაღესთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ეს მოხდა ტრავმის შედეგად, რომელიც მან მიიღო ვიეტნამის ომში. **„ის ტყვედ ჩავარდა. და არა უბრალოდ ტყვედ — ის ორმოში ჩააგდეს. ის რამდენიმე წელი იჯდა ორმოში. ნებისმიერ ადამიანს „სახურავი ნთქავს", ამიტომ კიდევ რა უნდა ვთქვა",** — აღნიშნა პუტინმა.

ნოემბერში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტების **ბარაკ ობამასა** და **ნიკოლა სარკოზის** პრივატული საუბარი. ჟურნალისტებმა მოუსმინეს ამ საუბარს ელისეის სასახლის თანამშრომლის შეცდომის შედეგად. მათ გაიგონეს, თუ როგორ უწოდა სარკოზიმ ისრაელის პრემიერს **ბენიამინ ნათანიაჰუს „მატყუარა"**. სარკოზის სიტყვის პასუხად ამერიკელმა პრეზიდენტმა აღნიშნა: **„შენ მას ვერ იტან? მე კი მასთან ყოველდღე მიწევს ურთიერთობა".**

პოლიტიკოსებს ბევრი რამ აქვთ დასამალი, მაგრამ სწრაფვამ იმისკენ, რომ უკრაინა გახდეს ევროკავშირის წევრი, აიძულა **ვიქტორ იანუკოვიჩი** ყველაფერი ეთქვა გულღიად. ამ მიზანს აღმოუჩნდა არა უბრალოდ მტერი, არამედ ფანატიკური მოწინააღმდეგეებიც კი. ლუგანსკის საოლქო საბჭოს ერთ-ერთმა დეპუტატმა, კომუნისტმა **ვლადისლავ კრივობოკოვმა** პირობა დადო, რომ დაიცავს სამურაების კოდექსს და განახორციელებს რიტუალურ თვითმკვლელობას, თუ უკრაინა შევა ევროკავშირში. ასეთი განცხადება, **„თუ ჯანსაღ გონებაზე ხარ და სწორად სჯი",** პოლიტიკოსმა განათავსა თავის საიტზე.

მეზობელ ბელარუსში ბარანოვიჩის ქალაქის აღმასკომმა უარი უთხრა მეწარმე **ნიკოლაი ჩერნოუსს უფლებაზე ისუნთქოს სუფთა ჰაერი ორი საათის განმავლობაში ქალაქის ცენტრში.** ჩერნოუსმა ვერ შეძლო აელო იჯარით მიტოვებული ფერმის შენობა და ამიტომ რამდენიმე ოფიციალური მოთხოვნა გაგზავნა საპროტესტო აქციის მოწყობაზე, თუმცა უარი მიიღო. სწორედ მაშინ მოითხოვა ნება, **„რომ უბრალოდ ღრმად ისუნთქოს ორი საათის განმავლობაში ლენინის ძეგლთან".** მაგრამ ვერც ამის გაკეთება შეძლო. ქალაქის აღმასკომმა განაცხადა, რომ **„არ შეუძლია მისცეს ნება ორი საათის განმავლობაში ისუნთქოს ღრმად ლენინის ძეგლის მახლობლად", ვინაიდან მეწარმემ დაარღვია კანონის — „მასობრივი ღონისძიებების შესახებ" — მუხლი.**

ევროპარლამენტის იტალიელმა დეპუტატმა **მარიო ბორგეციომ** „სახელი გაითქვა" მთელ მსოფლიოში, როდესაც ნორვეგიელი ტერორისტის **ანდერს ბრეივიკის** რადიკალურ იდეებს **„შესანიშნავი"** უწოდა. შეგახსენებთ, რომ ბრეივიკმა 76 ადამიანი მოკლა, ძირითადად მოზარდები. **„მე პატიებას ვთხოვ მსხვერპლსაც და ნორვეგიელ ხალხსაც. მე ამას გავაკეთებ შესაბამის დაწესებულებებსა და ევროპის პარლამენტშიც",** — იძულებული გახდა შემდეგ ბორგეციო თავი ემართლებინა რადიოეთერში.

**ეს ყოველივე აღნუსხა გაზეთმა „ვზგლიადმა".**

◉ ყოველდღიურობა

# საახალწლო სურვილები ტელეეკრანს

(მეხუთე გვერდიდან)

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.** ეს დასახელებაც ხშირად გაისმის ეკრანიდან. კაი ხანია, რაც დაკვირვებულთა ენა-პირით ითქვა, რომ სასჯელს იხდიან და არა აღასრულებენ, ხოლო აღასრულებენ კი განაჩენს; „სასჯელაღსრულების დეპარტამენტი" უაზრობაა და თუ გაიგებენ გაიგებს, ხომ არ შეიმოწმებენ „სასჯელმოხდის დეპარტამენტი" და „განაჩენაღსრულების დეპარტამენტი".

**სრულიად საქართველო.** ამ ძირფესვს, წმინდა ცნებას ქალიან გაუთამამდა, გაუშინაურდა ჩვენი ტელეეკრანი; იმას კი არ დაგიდევენ, რომ აგერ, 20 წელზე მეტია, რაც საქართველო „სრულიად" აღარ არის; ხოლო როგორიც ახლა არის, შეკვეცილ-ჩამოჭრილი, დაკარგავებულ-დაჩიავებული, ამნაირის „სრულიად" მოხსენიება ცინიკური, მარეხელურადაც კი გაისმის; აქვე კიდევ, ჩემის ფიქრით, აი, რა უნდა ითქვას: ძველებური, საბჭოური, დაუპატარავებელიც რომ ჰქონდეს ლეიყო, ან უფრო მეტად ძველებურიც, აღმაშენებლისდროინდელიც რომ იყოს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", ამ სიტყვებს ადვილად არ უნდა წამოისროდე; უნდა გახსოვდეს, ვინა ხარ, „ვისი გორისა", აგრე უბოდიშოდ, უცერემონიოდ, პირში წყლის გამოუვლებლად რომ ახსენებ „სრულიად საქართველოს", რომ „უტოლდება": მე ახლა სრულიად საქართველო მისმენს; მივმართავ სრულიად საქართველოს; ფეხზე დავაყენებ სრულიად საქართველოს... ვინ მოგცა უფლება?

ჩემი „შეგონება" მოცემულ შემთხვევაში, ჩემი რჩევა, ასეთია: იმ უმძიმესი მდგომარეობის ფონზე, რომელშიც ქვეყანა ამჟამად იმყოფება, თავი შეიკავოთ „სრულიად საქართველოს" ხსენებისაგან, ვინდაც ამინდის ბიუროს ცნობას გადაეცემდეთ („სრულიად საქართველოში დღეს უნალექო ამინდია მოსალოდნელი"-ო); ასე შეიკავოთ, სანამ დაკარგული ტერიტორიები არ დაგვიბრუნებია და ნამდვილი სრულიად საქართველო არ აღგვიდგენია საბჭოურ ფარგლებში; ის ვახსენოთ ოდენ მარადიულ ტიტულში „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი": ეს უსაპატიოესი წოდებულება არ იცვლება სხვათაგან ქართული მიწების მიტაცებით, არაა ამ გარემოებაზე დამოკიდებული.

....ვიმედოვნებ, რომ ეს წერილი გამოქვეყნდება და თუ ეს მოხდება, მაშინ ოთარ ძირიამ, პრესის მიმომხილველი რომაა „რუსთავი-2"-ის დილის ეთერში, წაიკითხოს და თუ ჩემი სურვილები თუ რჩევები ანგარიშგასაწევად წამოეჩინება, შესაბამისი რეაგირებაც მოახდინოს...

**თამაზ ეგანიძე**

ჭადრაკი

# წაგების მიუხედავად



**იტალიის ქალაქ რეჯიო ემილიაში მიმდინარე პოპულარული საშობაო ტურნირის მეხუთე ტურში სოფიკო გურამიშვილი ბელარუს ანა შარევიჩთან დამარცხდა, თუმცა 4 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.**

ჩვენი თანამემამულის უახლოესი მდევარი 3,5 ქულით სწორედ ეს უკანასკნელია.

აღნიშნული ასპარეზობა ორწრიანია და 10 ტური გათამაშდება. მეორე წრის სტარტზე გურამიშვილის მეტოქეა მასპინძელი მარინა ბრუნელო.

ალალ იყოს!

# დაფასდა, როგორც პიროვნება

**გაზეთ „მსოფლიო სპორტის“ რედაქციის მიერ მეექვსედ მოწყობილი ტრადიციული რეფერენდუმის გამარჯვებული საქართველოს ეროვნული ნაკრების აწ უკვე ყოფილი კაპიტანი კახი კალაძე გახდა. მას 1521 გამოკითხული ქომაგიდან ხმა 718-მა მისცა.**



სხვები რას ფიქრობენ, არ ვიცი, მე კი მიმაჩნია, რომ „ჯენოას“ მცველს საფეხბურთო კომპონენტებზე უფრო შარშანდელ სეზონში უპირატესობა პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციისა და მის სამშობლოში გამეფებული განუკითხაობის პირუთვნელად მხილების გამო მიენიჭა.

შესაბამისად, პოპულარული გამოცემის ყოველთვიურ პრემიას – 150 ლარს მიიღებს მთელი 2012 წლის განმავლობაში „სერია-ა“-ში მოთამაშე ყველაზე წარმატებული 33 წლის ქართველი ლეგიონერის პირველი მწვრთნელი ვანო ყურულაშვილი.

აღსანიშნავია, რომ 100-100-ლარიანი სტიპენდიებით დაფასდება მეორე და მესამე ადგილებზე გასული ჩვენი თანამემამულეების დავით თარგამაძისა (474 ხმა, მან ამ დღეებში 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა დონეცკის „შახტართან“ძ და ჯაბა დვალის („ზესტაფონი“, 168 ხმაძ პირველი მწვრთნელების – ავთო ნადირაშვილისა და გია მაისურაძის ამაგიც.

რაც შეეხება ლაურეატის სადარბაზო ბარათს, მისი ძირითადი შტრიხები ასეთია: საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი და ოთხგზის თასის მფლობელი (თბილისის „დინამოში“ძ, უკრაინის სამგზის ჩემპიონი და ამდენივეგზის თასის მფლობელი (კიევის „დინამოში“ძ, იტალიის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის ორგზის ტრიუმფატორი, ევროპის სუპერთასის ამდენივეგზის მფლობელი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული („მილანში“ძ.

დაბოლოს: „მართალია, ეროვნული ნაკრებიდან წავედი, მაგრამ საფეხბურთო კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ. შეგახსენებთ, რომ „ჯენოასთან“ კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულამდე მაკავშირებს“, – აცხადებს კახი კალაძე.

კალათბურთი

# მოზაიკა

**სუპერლიგის განახლებამდე ერთი თვით ადრე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შემადგენლობაში.**

კერძოდ, სხვა კლუბებში გააგძელებენ კარიერას ნუგზარ ჭეიშვილის კრებულის ვეტერანები დავით ბერიშვილი, ზურაბ კორკოტაძე, გიორგი მარკოიშვილი და მიხეილ ფანჩულიძე, თუმცა არის მატებაც – ამიერიდან თსუ-ს სპორტულ ღირსებას დაიცავენ პერსპექტიული ახალგაზრდა კალათბურთელები ვასილ ბერუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდანძ და ბექა ჩიკვილაძე („სამედიცინოდან“ძ.

* * *

**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალ სეზონში პირველი მარცხი იწვნია „ატლანტა ჰოუქსმა“.** სტარტზე მოპოვებული ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ჯორჯიელებმა ჰიუსტონში „როკიტსთან“ წაიფორხილეს – 84:95.

სტუმართა ქართველი ლეგიონერის პირადი მონაგარი 12 წუთში ასეთია: 3 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა.

დღეს გამთენიისას „ქორები“ ნბა-ს ერთ-ერთ ლიდერ „მაიამი ჰითს“ ხვდებიან, რომლებიც „ოკლაჰომასთან“ ერთად ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობენ.

* * *

რადგან ზემოთ „მაიამი“ ვახსენეთ, დავძენთ, რომ ამ კლუბის ერთ-ერთმა სუპერვარსკვლავმა **დუეინ უეიდმა „შარლოტასთან“ მოგებულ მატჩში – 129:90 პარტნიორებს 22 ქულა შესძინა და ნბა-ს 25-ე მოქმედი კალათბურთელი გახდა, რომელმაც 14-ათასიანი ზღვარი გადალახა. მისი კარიერა სათავეს 2003 წლიდან იღებს.**



ინტერნეტიდან

## მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირი

**ესპანური „ბარსელონას“ არგენტინელი ლიდერი ლიონელ მესი 2011 წლის შედეგების მიხედვით აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირად ნაკრებებისა და საერთაშორისო სათასო ტურნირების ჩათვლით, – იტყობინება ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHSძ ოფიციალური საიტი.**

საანგარიშო პერიოდში არგენტინელმა გაიტანა 19 ბურთი IFFHS-ის შეჯიბრებების გათვალისწინებით – 4 – ნაკრების სახელით და 15 – ევროთასებზე. მეორე ადგილი მოიპოვა 2010-2011 წლების სეზონის საუკეთესო სნაიპერმა – კოლუმბიელმა რადამელ ფალკოემ – 17 ბურთი (4-13ძ, მესამე ადგილი კი – იორდანიელმა აბდელ-ფაიტახიამ 16 გოლით (10-6ძ.



2010 წელს საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ კამერუნელი სამუელ ეტო‚ო, მაშინ მილანის „ინტერში“ რომ თამაშობდა და კუვეიტელი ბადერ ალ-მუტავა – მათ ანგარიშზე 17-17 ბურთია.

## „დაკარი — 2012“ ტრაგიკულად დაიწყო

**ავტორალი „დაკარი-2012“, 1 იანვარს რომ აიღო სტარტი არგენტინის მარ-დელ-პლატაში, ტრაგედიით დაიწყო – რბოლის პირველსავე ეტაპზე მარშრუტის 55-ე კილომეტრზე დაიღუპა მოტომრბოლი ხორხე მარტინეს ბოერო.**

მართალია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური ტრაგედიის ადგილზე 5 წუთში მივიდა, მაგრამ მრბოლს გული გაუჩერდა ვერტმფრენში, საავადმყოფოში რომ გადაჰყავდათ.

38 წლის ბოერო „დაკარში“ ზედიზედ მეორედ მონაწილეობდა. შარშან ის ჩილეში კურსს ასცდა და მაშველებმა გადაარჩინეს.

მისი ბოლო სიტყვები ყოფილა: „გილოცავთ ყველას! მადლობა მოწოდებული ცნობებისთვის, გავაკეთებ ყველა შესაძლებელს. რაც ჩვენ არა გვკლავს, ის გვაძლიერებს!“



„დაკარის“ ორგანიზატორები სამძიმარს უცხადებენ დაღუპულის ოჯახს.

## თოვლის პაპის არ სჯეროდა

**ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ რუმინელ მოდელს ბიანკა დრაგუშანუს თურმე ბავშვობაში არ სჯეროდა ზღაპრული პერსონაჟების არსებობისა, მას ბარმალეისაც კი არ ეშინოდა.** ხოლო როდესაც მისი მეგობარი გოგონები ამბობდნენ, რომ „თოვლის პაპა მათ ბარბისთვის სახლს აჩუქებდა“, პატარა ბიანკას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. „არასოდეს მჯეროდა თოვლის პაპისა“ – ამბობს ლამაზმანი Click-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. – აბა, როგორ უნდა დამეჯერებინა, როცა ძალზე ცოტა საჩუქარს ვღებულობდი“.

სამაგიეროდ ლამაზმანის ქმარი, ფეხბურთელი ადრიან კრისტია მზადაა, საჩუქრებით აავსოს თავისი გულისვარდი.

„საახალწლო დღეებს ჩვენ ერთად გავატარებთ, – აცხადებს ბიანკა, – ადრიანი სიურპრიზს მიმზადებს, მაგრამ რა იქნება ის, ჯერ არ ვიცი“.



კადრი



◎ ფიქრი ბედობის დღეს

# „შენი მკვიდრი მიწა-წყალი — ახატია სხვათა რუკებს“...

აქ ერთმანეთს ჩაწვნია სევდა და იმედი, დარდი და აღმაფრენა... ეს ექვსსტროფიანი ლექსი ჩვენი ბედკრული სამშობლოს მთელ ისტორიას იტევს და მკითხველს უზარმაზარი შთაბეჭდილების ქვეშ აქცევს. მაშ, მოდით, ერთხელაც გავიხსენოთ, პოეზიის მოყვარულნო:

დიდი იყავ — გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით,
გალბეთ ოფლით,
დღეს ერთად რომ
მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი.

შენი მკვიდრი მიწა-წყალი
ახატია სხვათა რუკებს,
წარიტაცა ზოგმა ძალით,
ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს.

და რაც დაგვრჩი — დაგვრჩი
მარად,
დაგვრჩი ხორცად,
დაგვრჩი ძვლებად,
დაღუპვისგან დაგვიფარავს,
მარტო შენი დასიზმრებაც.

საქართველოს გეტრფით
მთლიანს,
საქართველოს გეტრფით ახალს,
იცოცხლე და სულერთია
დიდი ხარ თუ პატარა ხარ.

უფრო მეტი დაგეკვებოს,
ერის მშვენი, ენის მშვენი,
არ ჰყოფნიდეთ აკვნებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი.

დიდი იყავ — გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით,
გალბეთ ოფლით,
დღეს ერთად რომ
მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

ლექსი **„ჩემო მიწავ!“** ჯერ კიდევ კომუნისტების ზეობის ხანაში დაწერა ჩვენმა ბრწყინვალე პოეტმა ზაურ ბოლქვაძემ, ჩვენმა „ლომმა“. რა გასაკვირია, სტროფი — **„შენი მკვიდრი მიწა-წყალი ახატია სხვათა რუკებს, წარიტაცა ზოგმა ძალით, ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს“**, დაბეჭდვის დროს ამოუგდო ლექსიდან ცენზურამ, თუმცა მოგვიანებით სრული სახით შევიდა პოეტის ერთ-ერთ კრებულში. იგი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ლექსია, რომელიც საოცრად ეხმიანება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას: პოეტი სამშობლოს ისტორიას იხსენებს და, ცხადია, დარდობს იმას, ჩვენი მიწა-წყალი სხვათა რუკებს რომ ახატია, როგორ მიიტაცა მტერმა, როგორ გააჩუქა ვაი-ქართველმა...

ეეეე... ჩვენო „ლომო“! შენ რომ ამ შედევრს წერდი, თუმც კომუნისტური ეპოქა იდგა, სამშობლო აყვავებული იყო კიდით-კიდემდე. კი, ტერიტორიებწართმეული, დამცრობილი, მაგრამ ღიმილიანი ქართველებით იყო სავსე მისი იმერ-ამერი...

მერე რაც გადავიტანეთ, შენც მოესწარი, სხვებთან ერთად შეჰხაროდი საქართველოს დამოუკიდებლობას, აფხაზეთის დაბრუნების იმედით დაემშვიდობე ამ ქვეყანას... ნეტავი შენ, რომ ვერ ხედავ, დღეს, XXI საუკუნის მეთორმეტე წელს, მართლაც რომ, ერთი ბეწოა, მართლაც რომ, წართმეულ-გაჩუქებულია ჩვენი სალოცავი მიწა-წყალი... აფხაზეთის სამუდამო დაკარგვას დღევანდელმა ხელისუფლებამ სამაჩაბლოც მიუმატა და ვართ ახლა მოსისხლეთაგან გარშემორტყმული.

ამ ორიოდე სტრიქონს შენი ლექსის თანხლებით ბედობა დღეს ვწერ, ჩვენო ზაურ!

დარდით იწერება იგი, სევდით იწერება, თუმცა იმედიც ახლავს შენგან მოგვრილი:

**უფრო მეტი დაგეკვებოს,**
**ერის მშვენი, ენის მშვენი,**
**არ ჰყოფნიდეთ აკვნებადაც**
**შვილთა შენთა ტყენი შენი!**

კი, ბატონო, ასე იყოს, აბა, უმოამავლო ქვეყანა რაღა ქვეყანაა, ჰოდა, დაეზედოს აკვნების სიმრავლე ჩვენს ქვეყანას! ღმერთი იყოს მისი შემწე 2012 წელსაც!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ხსოვნა

# გიორგი პაპავა

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 88 წლის ასაკში გარდაიცვალა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა.



პროფესორი გიორგი პაპავა დაიბადა 1923 წელს სამტრედიაში ინტელიგენტის ოჯახში. პაპავების ეკონომისტთა ოჯახურ დინასტიას სათავე დაუდო მისმა მამამ, ცნობილმა მეცნიერმა, ეკონომისტ-სტატისტიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავამ.

სკოლის დამთავრებისთანავე იგი გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. ომის პერიოდში მან საკუთარ თავზე გამოსცადა ტყვეობაში ყოფნისა და თვით გესტაპოს ციხის ჯურღმულების სიმწარე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი იწყებს ფართო და ნაყოფიერ პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1961 წელს იგი წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1972 წელს სადოქტორო დისერტაციას ეკონომიკის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა სამეცნიერო თანამდებობებზე. წლების განმავლობაში იყო განყოფილების გამგე სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის და საქართველოს მეცნიერებათა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტებში.

პროფესორი გიორგი პაპავა არის 150-მდე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი (მათ შორის, 20-ზე მეტი მონოგრაფიისა). მისი მეცნიერული კვლევების სფერო მოიცავს სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკას, ორგანიზაციას, მართვის თეორიას და ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიას. მან შექმნა ეკონომიკის ახალი მიმართულება, რომელიც ქმნის საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა სისტემის მარკეტინგული მართვის საფუძვლებს. მან შექმნა მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგია „პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის“ სახით. მანვე შექმნა ეკონომიკურ მახასიათებელთა მულტიპლიკაციური მთლიანობითი სისტემა და ამით მიაღწია მენეჯმენტის ორგანიზებულობის გაზომვას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი 2009 წელს შვედეთში გამოცემული ერთ-ერთი ბოლო მონოგრაფია — „Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы“, რომელმაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა. 1987 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია მიენიჭა ასევე შვილთან, პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან ერთად გამოცემულ წიგნს — „სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა“.

პროფესორი გიორგი პაპავა სამეცნიერო მოღვაწეობას უხამებდა წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას. მრავალი წლის განმავლობაში იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისთვის იგი დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით.

შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, საუკეთესო მოქალაქის, პიროვნებისა და კოლეგის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

---

შპს „ჯანმრთელობის ცენტრი“ თანაგრძნობას უცხადებს გია ხარებაშვილს და მის ოჯახს დედის

**ქეთევან ხარებაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას მამის, ცნობილი მეცნიერის, ინსტიტუტის მეცნიერი კონსულტანტის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**გიორგი ვლადიმერის ძე პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრა კათედრის ყოფილ ხელმძღვანელს, ბატონ ლადო პაპავას თანაუგრძნობს მამის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ეკონომისტის

**გიორგი პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ სამძიმარს უცხადებს ძველ მეგობარსა და ავტორს ბატონ ლადო პაპავას მამის, ცნობილი ეკონომისტის

**გიორგი პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის აკადემიკოსის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის

**გიორგი პაპავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ლეო ჩიქავა ოჯახით თანაუგრძნობს პროფესორ ლადო პაპავას სახელოვანი მამის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ

**გიორგი პაპავას**

გარდაცვალების გამო.

---

## სსიპ — სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად

**I. ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილებაში:**

1. განყოფილების უფროსი ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – 1 საშტატო ერთეული;

2. ნახევარგამტარული და რადიაცული ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი – 1 საშტატო ერთეული;

3. ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი – 1 საშტატო ერთეული.

**II. არატრადიციული ენერგეტიკის სამეცნიერო გაყოფილებაში:**

განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული.

**III. კრიოგენული ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილებაში:**

განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული.

**IV. რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის განყოფილებაში:**

განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში.

**მისამართი: ქ. თბილისი, ე. მინდელის №7 (10სთ-დან 17 სთ-მდე) შაბათ-კვირის გარდა.**

**საბუთების წარდგენის ვადაა 2012 წლის 04 იანვრიდან 16 იანვრამდე.**

**კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 18 იანვარს 14 საათზე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
ელ-ფოსტა: sipt@sipt.org
ვებ. გვერდი: www.sipt.org
ტელ: 294 66 15, 232 09 60.

სსიპ – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი
**გურამ ბოკუჩავა**

---

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, ჩვენი გაზეთის ძველი მეგობარი და ავტორი

**დოდო იორდანიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 4. I, 17 სთ. გამოსვენება 5. I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ქობულეთის ქ. 3/15, IV, სად. მე-6 სართული.

---

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე

**დოდო იორდანიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ჩვენი კარაბადინი

### რატომ არ გვძინავს კარგად ზამთარში?

**რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომლის ავტორიც აღნიშნავს: შემოდგომის დადგომის შემდეგ ვერ ვახერხებ გამოძინებას, თუმცა საკმაოდ**



**მძინავს. ზაფხულში გვიანაც რომ დავწვე, ვიღვიძებ საღად და სრული ძალით. ახლა სამუშაო დღის განმავლობაში სულ მეყვინთება. რაზეა ეს დამოკიდებული?**

– შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ყველაზე მოკლე ნათელი დღეა, დროის უმეტეს ნაწილს ვატარებთ ხელოვნური განათების ქვეშ, რაც გვიხანგრძლივებს სიფხიზლის პერიოდს, – გვიხსნიან სპეციალისტები. – ამრიგად, ირღვევა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ბიორიტმები, ჩვენი ორგანიზმის „ბიოლოგიური საათები“ მოდის წინააღმდეგობაში ნათელ, კაშკაშა შუქთან.

მეცნიერთა უკანასკნელი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ხელოვნური სინათლე ამცირებს მელატონინის – ჰორმონის გამომუშავებას, რაზეც არის დამოკიდებული „საათობრივი“ გენების მუშაობა და რომლებიც გვეხმარებიან განვსაზღვროთ აქტივობისა და სიმშვიდის დრო.მასზე ასევე არის დამოკიდებული კვების დროც. ყოველივე ამას კი მივყავართ ძილის დარღვევასთან.

### პარკოსნები – კარგი მეხსიერებისთვის

**ვიტამინი B-4 იცავს ტვინს სიბერისგან, მიაჩნიათ მედიკოსებს ბოსტონის უნივერსიტეტიდან და გვირჩევენ, შევიყვაროთ კვერცხი, ზღვის თევზი და პარკოსნები.**

მეცნიერებმა მოაწყვეს ტესტირება და გამოარკვიეს, რომ ისინი, ვინც მოიხმარენ ვიტამინ B-4-ს, უკეთ ართმევენ თავს ამოცანებს დამახსოვრებაზე და ასაკთან დაკავშირებით ნაკლები ცვლილებები აქვთ ტვინში.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ვიტამინი B-4 არის ტვინის ერთ-ერთი შენაერთის – აცეტილქოლინის (მისი დაბალი კონცენტრაცია დაკავშირებულია ალცჰეიმერის დაავადებასთან)წინაპარია. სპეციალისტები ურჩევენ მამაკაცებს მიიღონ დღეში 550 მილიგრამი ვიტამინი, ქალებს – 425 მილიგრამი ან მიეძალონ ამ ელემენტით მდიდარ პროდუქტებს.

### გინდა ზღვისა იყოს, გინდა – სუფრისა

**ზღვის მარილი სულაც არაა ჩვეულებრივ სუფრის**



**მარილზე უფრო სასარგებლო, ამტკიცებენ ბრიტანელი ექიმები. გამოკვლევამ არ აჩვენა სხვაობა სხვადასხვა სახის მარილის ქიმიურ შემადგენლობაში.** ყველა შეიცავდა 100-პროცენტიან ნატრიუმის ქლორიდს, რაც დიდი დოზით სახიფათოა. ამ დროს გამოკითხვები გვიჩვენებენ, რომ თითქმის ყოველი მესამე ფიქრობს, თითქოს ქვის ან ზღვის მარილი უფრო სასარგებლო იყოს სუფრის მარილზე.

### მარხვაც, განტვირთვაც

**იმათ, ვინც იცავს მარხვას, უნდა იკვებონ ხშირად, ესე იგი მიიღონ საკვები ყოველ სამ საათში, მიაჩნიათ რუსეთელ სპეციალისტებს.**

თუ საკვებს მივიღებთ ყოველ სამ საათში, ამბობენ ისინი, მარხვა ჯანსაღი ადამიანისთვის ჩაივლის თითქმის შეუმჩნევლად, ვინაიდან ორგანიზმი მუდმივად მიიღებს მისთვის აუცილებელ ინგრედიენტებს, მიკროელემენტებს.

ისინი ასევე გვირჩევენ, რომ კვერცხი, ხორცისა და რძის პროდუქტები, რომლების მიღებაც მარხვის დროს არ შეიძლება, შევცვალოთ ბურღულით, სოკოთი და პარკოსანი კულტურებით. ყველასთვის ხომ ცნობილია, რამდენად მდიდარია სასარგებლო ნივთიერებებით წიწიბურა, ლობიო კი ცილების შემცველობით პრაქტიკულად ხორცს უტოლდება, ამას გარდა არავინ გვიკრძალავს, გარკვეულ დღეებში მივირთვათ თევზი.

ვიტამინებისა და მიკროელემენტების საკმარისი შემოსვლისთვის აუცილებელია, ვჭამოთ ხილი, სალათები, მწვანილი და მჟავე კომბოსტო. ამ რეკომენდაციების დაცვის დროს მარხვა იქცევა სასარგებლო „განტვირთვად“ ორგანიზმისთვის.

### კარგი ცუდი ყავა

**რეაქცია კოფეინზე, მიაჩნიათ მეცნიერებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ითვისებს ადამიანის ორგანიზმი ამ ნივთიერებას. თუ ნელა, მაშინ რისკი – შესმული ყავისგან მივიღოთ ინფარქტი, იზრდება, ხოლო თუ სწრაფად – მაშინ, პირიქით, მცირდება. სამწუხაროდ, მეტაბოლიზმის ტიპის გაგება ლაბორატორიული გამოკვლევების გარეშე ჯერჯერობით შეუძლებელია.**



და მიუხედავად ამისა, რისკის მთავარი ფაქტორი გულისთვის და სისხლძარღვებისთვის არის არა სასმელი ყავის მარცვლები, არამედ მოწევა, ალკოჰოლი და არასწორი კვება. ასე რომ, ჰიპერტონიის გამწვავების გარეშე, იქნებ არც ღირდეს მთლიანად ვთქვათ უარი ყავაზე, მაგრამ მაინც უმჯობესია შემოვიფარგლოთ დღეში ერთი პატარა ფინჯანით.

### ბოლოკის სიკეთის შესახებ

● მეცნიერებმა ბოლოკში აღმოაჩინეს ნივთიერება ქოლინი, რომელიც სისხლში აქვეითებს მავნე ქოლესტერინის დონეს.

● ძველი დროიდან ბოლოკს იყენებდნენ როგორც საშუალებას, რომელიც გვიღვივებს მადას.

● მაგნიუმი, რომელიც ბოლოკში უხვადაა, გვეხმარება ვებრძოლოთ დაღლილობას და შევინარჩუნოთ სიმშვიდე კრიზისულ სიტუაციებში.

● ბოლოკში არის ფიტონციდები, რომლებიც გვეხმარებიან გავუსწორდეთ გაციებასა და გრიპს.

● ეთერზეთები (სწორედ ისინი ანიჭებენ ბოლოკს სიცხარესა და მწარე გემოს) უმკლავდებიან ხანრძლივ ხველებას და ასუფთავებენ ბრონქებს.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ბრძენს ჰკითხეს: რა არის ყველაზე სასარგებლო და, ამავე დროს, ყველაზე უსარგებლოო და ბრძენმა უპასუხა – რჩევა.

● ძველი ბერძნები და რომაელები კერძში დაფნის ფოთოლს არომატისთვის არ აგდებდნენ, რადგან ეს მათი ტრადიციული რიტუალი იყო.

● ეს ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთში და „ცილიკსი“ ერქვა. ჩვენ ის მხოლოდ ნახატზე გვინახავს და თან ცხოველთან ერთად, რაც ერთ-ერთ ცნობილ ემბლემას წარმოადგენს და ეს არის მედიცინის „ცილიკსი“ – თასი და გველი.

● ცნობილია, რომ ძველი ქრისტიანები ზარის ხმით ეშმაკს დევნიდნენ, დღეს ჩვენ ამას ჭიქების ერთმანეთზე მიჭახუნებით ვაკეთებთ.

● მას ეშმაკის ბიბლიასაც უწოდებენ, მასში შეიძლება სიმბოლიზებული სახით იხილოთ ადამიანის შინაგანი ორგანო, შავი ფრინველი, სამშენებლო მასალა და რელიგიური სიმბოლოც – ეს არის ბანქო.

● სოლომონ ბრძენს ჰქონია კვერთხი, რომელსაც წახნაგოვანი საფირონი ამშვენებდა და მას დავითის ვარსკვლავის – ჰექსაგონის ფორმა ჰქონდა.

● შუასაუკუნოვანი წარმოდგენით, ეშმაკს ნებისმიერ ცოცხალ არსებად შეეძლო გარდასახვა გარდა ორისა: მტრედი და კრავი.

● ვაჭრობის ძველი ბერძნული ღვთაება ჰერმესი ქურდების მფარველიც არის. იგი თავადაც არ თაკილობდა ქურდობას. ჯერ კიდევ სულ თოთო ბავშვი იყო, აკვანში იწვა, როდესაც დედას მლვიმიდან გაეპარა, აპოლონის ჯოგი მოიპარა, გამოქვაბულში დამალა, თვითონ კი ისევ შეუმჩნევლად ჩაწვა აკვანში და არტახებში გაეხვია.

● ამ კუნძულზე 54 ქალაქი იყო, ყოველი მათგანი ერთნაირი არქიტექტურული გაფორმებით. კუნძულს მართავდა მეფე, რომლის რეზიდენცია ცენტრალურ ქალაქ ამაუროტაში მდებარეობდა. მიუხედავად მონარქიისა, მმართველობის ფორმა მაინც დემოკრატიული იყო. კუნძულის ყოველი მოქალაქე ვალდებული გახლდათ, ერწმუნა ღმერთი და სცოდნოდა რაიმე ხელობა – ამ კუნძულს უტოპია ერქვა.

● მდიდარ ბერძნებს ყველაზე მეტად ეშინოდათ ღმერთების შურისა.

● მხოლოდ იმ ქალის წინ უნდა დადგეთ მუხლებზე, რომელიც შემდეგ შარვალს დაგიუთოებთ, ამბობენ ინგლისელები.

● ცის პირველი გლობუსის შექმნას ლიბიის მითურ მეფეს მიაწერდნენ. მისი სახელი უწოდა თავის პირველ გეოგრაფიული რუკების კრებულს მერკატორმა – მას „ლიბიის მეფის ატლასი“ ერქვა.

● XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში დამტკიცებულ ამ ადმინისტრაციული სახვითი ხელოვნების ნამუშევრების 32,5 პროცენტში ასახულია მეურნეობა და ვაჭრობა, 25,5 პროცენტში – ბუნებრივი პირობები, 5,5 პროცენტში – არქიტექტურული სიუჟეტები 16,5 პროცენტი და დასახელების მინიშნებას შეიცავდა – ეს იყო ქალაქის გერბები.

● ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ არათითიდან სისხლი პირდაპირ მიეწოდება გულს. აქედან მოდის არათითზე საქორწინო ბეჭდის ტარების ტრადიცია.

● ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ყველაფერი ქაოსისგან იშვა.

● მარადიულ უკუნეთსა და ბნელეთს ბერძნულ მითოლოგიაში ერქვა ტარტაროსი, ხოლო მაცოცხლებელ სიყვარულს – ეროსი.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– მგონი, მივაღწიე სრულ ფინანსურ სტაბილურობას.

– მაინც კონკრეტულად რით გამოიხატება ეს?

– იმით, რომ ფული არც მქონია, არც მაქვს და, როგორც ჩანს, არც მექნება.

* * *

ხეირიანად ვერც მოასწრებ მზის ქვეშ საკუთარი ადგილის პოვნას, რომ უკვე ღამდება.



* * *

– იცი, რას ნიშნავს დიდ თეთრ მანქანაზე მოხატული ჯვარი?

– ეკითხება პეტკა ივანიჩს.

– ???

– იმას, რომ მასში აფთიაქია.

* * *

ზოგჯერ ადამიანს ისე გინდება, რომ დაკარგო მომავლის რწმენა... მაგალითად რწმენა იმისა, რომ მომავალ არჩევნებში უთუოდ გაიმარჯვებენ ისინი, ვინც ჩოხასავით ირგებს ტანზე კანონებს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24